UK | GE

Reform assistance to Georgia

საქართველოში რეფორმების განხორციელებაში დახმარება

პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების პოლიტიკა საქართველოში

პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმები

ავტორები: ოლივერ დისი (პროექტის ხელმძღვანელი), თეა სიფრაშვილი (განათლების ექსპერტი), ლაშა საღინაძე (დაფინანსების ექსპერტი), ჯუბა წულაძე (დაფინანსების ექსპერტი), ნინო ჯავახიშვილი (გენდერული თანასწორობის და სოციალური ჩართულობის ექსპერტი),პროექტის გუნდის სხვა წევრების ჩართულობით.

თარიღი: 26 დეკემბერი, 2019 წ.

შინაარსი

შინაარსი 2

ცხრილების ჩამონათვალი 3

ნახაზების ჩამონათვალი 3

დანართების ჩამონათვალი 3

შეზღუდვები და განმარტებები 4

1. მოკლე მიმოხილვა 5

1.1 მიმოხილვა 5

1.2 დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმები 6

1.3 დაფინანსების ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლები 2024 წლისთვის 6

1.4 ფინანსური ხელმისაწვდომობა 7

1.5 სამართლებრივი ბაზა დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმებისთვის 8

2. კონტექსტი და დასაბუთება 9

2.1 კონტექსტი 9

2.2 დასაბუთება 9

3. დივერსიფიცირებული დაფინანსების პოლიტიკა პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებისთვის 11

3.1 პოლიტიკა 11

3.2 დაფინანსების პოლიტიკა მობილიზებისთვის (დაფინანსების წყაროები) 12

3.3 დაფინანსების პოლიტიკა განაწილებისთვის (პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსება) 12

3.4 პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმების მართვის მიზნით შეთავაზებული პოლიტიკა 14

4. პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაგეგმილი ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლები 2024 წლისთვის საქართველოში 16

4.1 ადამიანური კაპიტალის მიდგომა 16

4.2 ძირითადი მიზნების შეჯამება 2024 წლამდე 18

4.3 პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის საჭიროებები 20

5. პროფესიული განათლებისა და მომზადების ხარჯები საქართველოში 22

6. საშუალოვადიანი დანახარჯების ჩარჩო (MTEF) 24

7. ფინანსური ხელმისაწვდომობა რესურსების მობილიზებისა და რესურსების განაწილების საფუძველზე 25

8. დასკვნები და რეკომენდაციები 28

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1	საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების, უწყვეტი განათლების და მომზადების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლები 2024 წლისთვის
ცხრილი 2	პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების სრული მოთხოვნა და მიწოდება
ცხრილი 3	საქართველოში პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების განმახორციელებელი საჯარო და კერძო დაწესებულებების რაოდენობა (2019 წ.)
ცხრილი 4	სტუდენტების რაოდენობა პროფესიული განათლების სრულგანაკვეთიან პროგრამებზე საჯარო და კერძო დაწესებულებებში პროგრამის საფეხურის მიხედვით (1-5 საფეხურები) 2014-2019 წლებში
ცხრილი 5	საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის ძირითადი მიზნების შეჯამება 2024 წლისთვის
ცხრილი 6	უმუშევართა/არასრული დატვირთვით დასაქმებულთა უწყვეტი პროფესიული განათლებისა და მომზადების ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლების შეჯამება 2024 წლისთვის
ცხრილი 7	დასაქმებულთა უნარების განვითარების საჭიროებების შეჯამება 2024 წლისთვის
ცხრილი 8	მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლების შეჯამება 2024 წლისთვის
ცხრილი 9	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლები 2024 წლისთვის
ცხრილი 10	პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების საჭიროებები ჩარიცხვისა და სტუდენტთა სასწავლო დაწესებულებაში დარჩენის მონაცემებზე დაყრდნობით მე-2 წელს და შემდგომში
ცხრილი 11	ვაუჩერის ხარჯების განაწილება პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების ტიპის მიხედვით
ცხრილი 12	პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების სრული მოთხოვნის განაწილება
ცხრილი 13	განათლების ბიუჯეტის ფაქტობრივი, მოსალოდნელი და გაანგარიშებული მონაცემები 2017 წლიდან 2024 წლამდე საქართველოში
ცხრილი 14	პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის სრული მოთხოვნა მთლიან მიწოდებასთან მიმართებით 2021-2024 წლებში
ცხრილი 15	დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმები
ცხრილი 16	დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმები - დინამიკური დაფინანსების მოდელი

ნახაზების ჩამონათვალი

ნახაზი 1	სახსრების მოძრაობა პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსებაში
ნახაზი 2	საქართველოში პროფესიული განათლებისა და მომზადების ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასება 2021 – 2024 წლებში
ნახაზი 3	ბიუჯეტის მოთხოვნის და მიწოდების ჩაშლა 2021-2024 წლებში

დანართების ჩამონათვალი

დანართი ა	საქართველოში პროფესიული განათლების დაფინანსების სისტემის სიტუაციური ანალიზის ანგარიში
დანართი ბ	პროფესიული განათლებისა და მომზადების დაფინანსების კარგი პრაქტიკის შემაჯამებელი ანგარიში
დანართი გ	საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების კრიტერიუმები
დანართი დ	ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასება

შეზღუდვები და განმარტებები

წინამდებარე დოკუმენტი - „პროფესიული განათლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამების დივერსიფიცირებული დაფინანსების პოლიტიკია 2024 წლისთვის“ ორიენტირებულია საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარების ახლებურ გააზრებაზე. მიუხედავად პოლიტიკის განსაზღვრისთვის ჩატარებული სამუშაოს მოცულობისა, ის არაერთი შეზღუდვით ხასიათდება, რაც ძირითადად განპირობებულია ეკონომიკის არაპროგნოზირებადი ხასიათით საქართველოს კონტექსტში. ამ მიზნით, საჭიროა დასახული ძირითადი მიზნების მუდმივი მონიტორინგი და ადაპტირება ეკონომიკაში სამომავლოდ და დღეისათვის მოთხოვნილი უნარების შესაბამისად. ამასთან, საქართველოსათვის საუკეთესო ვარიანტია რეგიონულ კონტექსტში საჭირო უნარების გათვალისწინება.

პროექტის გუნდი მადლობას უხდის ყველა დაინტერესებულ მხარეს პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების პოლიტიკის დოკუმენტისა და თანმდევი დოკუმენტაციის შემუშავებაში შეტანილი წვლილისთვის.

1. მოკლე მიმოხილვა

1.1 მიმოხილვა

ტექნოლოგიური განვითარება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სამუშაო პროცესებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ამ ტენდენციის ტემპი და ინტენსივობა შენარჩუნდება უახლოეს მომავალში. პროგნოზები განსხვავებულია, თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ ეს გარკვეულ დონეზე შეეხება სამუშაო ადგილების უმრავლესობას, თუ ყველა მათგანს არა, ხოლო დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელი შრომის ბაზარზე სამუდამოდ ჩანაცვლების განსაკუთრებით დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდება.

სამუშაოს მომავალი **დღეს** იქმნება, საქართველოში კი პროფესიული განათლებისა და მომზადების მოდულების 53% პროფესიული განათლების სისტემის კვალიფიკაციის მე-3 საფეხურზეა, რაც კარგს არაფერს მოასწავებს სამუშაოს მომავლისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ეკონომიკისა და უნარების განვითარება ადამიანური კაპიტალის **ახლებურ გააზრებას** საჭიროებს. მაკკინსი (2018) "ავტომატიკა და სამუშაოს მომავალი" აღნიშნავს, რომ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ცვლილებას უფრო მაღალი კოგნიტური, სოციალური, ემოციური და ტექნიკური უნარების საჭიროების მიმართულებით, რაც განაპირობებს მოთხოვნას უფრო მაღალი დონის კვალიფიკაციებზე.

თანამედროვე ეკონომიკად და საზოგადოებად ჩამოყალიბების გზაზე წარმატების მისაღწევად საქართველომ უნდა აირჩიოს ადამიანური კაპიტალის მიდგომა, რომლის დროსაც უნარების განვითარება უფრო მეტად ეყრდნობა სამომავლოდ პროგნოზირებულ კვალიფიკაციებს, ვიდრე დაბალ კვალიფიკაციაზე დღეს არსებულ მოთხოვნას. ეს დანახულია ადამიანური კაპიტალის პერსპექტივიდან, რომელიც წამყვან როლს თამაშობს თანამედროვე ეკონომიკად და საზოგადოებად ჩამოყალიბებაში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი ლესე-ფერის (laisser-faire) მიდგომის ნაცვლად. თუმცა, ამავე დროს, უნდა დაკმაყოფილდეს შრომის ბაზრის არსებული და მოკლევადიანი საჭიროებები.

დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმები 2021-2024 წლების საშუალოვადიანი დანახარჯების ჩარჩოს ფარგლებში მიზნად ისახავს, გადაწყვიტოს როგორც მოკლევადიანი, კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე ადამიანური კაპიტალის შედარებით გრძელვადიანი საჭიროებები ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების თვალსაზრისით. სირთულე მდგომარეობს იმაში, თუ როგორ უნდა მოხდეს დასაქმების წინა პროფესიული განათლებისა და მომზადების ადეკვატური დაფინანსება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3-მე-5 საფეხურებზე, როგორ დაფინანსდეს უწყვეტი პროფესიული განვითარება უმუშევარი და არასრული დატვირთვით დასაქმებული პირებისთვის და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, როგორ უნდა მოხდეს დასაქმებულთა პროფესიული უნარების გაუმჯობესება ისე, რომ მათი უნარები განვითარებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დარჩეს.

ამჟამად, საქართველოში პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების განხორციელებისთვის საჭიროა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია, ან, ზოგ შემთხვევაში, ორგანიზაციის რეგისტრაცია. პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებს სხვადასხვა საფეხურზე სულ 104 საჯარო და კერძო დაწესებულება, პროფესიული კოლეჯი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს დაახლოებით 16,000-დან 12,000-მდე სტუდენტისთვის (2014-2018 წწ.). ამასთან, 2019 წელს ამოქმედდა ზრდასრულთა მომზადების კურსები. მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების კურსების დაფინანსება 2018 წლის პროფესიული განათლების შესახებ კანონით დანერგილი პოლიტიკის ახალი მექანიზმია. მთლიანობაში ჩანს, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებში მონაწილეობა მცირდება 2014-2019 წლებში, 26%-ით საჯარო და 27%-ით კერძო პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების შემთხვევაში. პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებში მონაწილეობა მაღალ დონეზე შესაძლებელია მხოლოდ რეალისტური, მიღწევადი და მდგრადი მიზნების დასახვისა და ადეკვატური დაფინანსების შემთხვევაში.

არსებული სიტუაციის მიმოხილვისა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის („ა" და „ბ" დანართები) შესწავლის თანახმად, პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ქვემოთ მოცემულ **ძირითად მიზნობრივ მაჩვენებლებზე 2024 წლისთვის.**

ცხრილი 1. საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების, უწყვეტი განათლების და მომზადების, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლები 2024 წლისთვის

დასახელება	პროგრამის აღწერა	რაოდენობა
1	საწყისი პროფესიული განათლება და მომზადება (IVET)	21,000
2	უწყვეტი განათლება და მომზადება (CVET)	12,000
3	მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები (SCEPs)	8,000
4	სტუდენტთა საერთო რაოდენობა	41,000
5	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (SEN) მქონე სტუდენტები სტუდენტთა საერთო რაოდენობაში	2,460

ადამიანური კაპიტალის საჭიროების გამოთვლა პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემისთვის მოიცავს სისტემის კოეფიციენტის განსაზღვრას საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების (IVET) და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (SCEPs). ამჟამად პროფესიული განათლებისა და მომზადების მხოლოდ აღნიშნული პროგრამების ხანგრძლივობა აღემატება ერთ წელს. პროგრამების ხანგრძლივობიდან გამომდინარე IVET-ის შემთხვევაში სისტემის კოეფიციენტად განისაზღვრა 1.5, ხოლო SCEPs-თვის - 2, რადგან მე-5 საფეხურის ამ მიმართულების ყველა პროგრამა ორწლიანია.

1.2 დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმები

უშუალოდ ფინანსურ საკითხებთან ერთად პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია თუ როგორ ხდება დაფინანსება. პირველ რიგში, არსებობს სამი ძირითადი მიმართულება, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ნებისმიერი მიდგომის შემთხვევაში:

- **რესურსების მობილიზება** (წყაროები, გეგმები, ოდენობები, მოძიების მეთოდები და მექანიზმები);
- **რესურსების განაწილება** (რესურსების სისტემაში განაწილებისა და მიმართვის კრიტერიუმები და მექანიზმები);
- **დაფინანსების მართვა** (მმართველი ორგანოები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაფინანსების ჯაჭვის ფუნქციონირებას, ემსახურებიან პოლიტიკის მიზნებს და ასრულებენ მკაფიო წესებს).

სისტემაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას კიდევ ორი განზომილება ახდენს, შესაბამისად, აღნიშნული საკითხები სათანადო ყურადღებას საჭიროებს. ეს საკითხებია ხარჯების შეფასება და მონაცემების შეგროვების გზით მიღებული ფინანსური ინფორმაცია. მართალია, აღნიშნული საკითხები უშუალოდ რესურსების მობილიზების, განაწილებისა და მართვის პროცესის შემადგენელი ნაწილი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორებია.

- **ხარჯების შეფასება** (პროფესიული განათლების პოლიტიკის ხარჯების მოდელირება, როგორც გადაწყვეტილების მიღების ძირითადი ელემენტი და შერჩეული პროგრამული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა დაგეგმვის მიზნით);
- **მონაცემები** (რაოდენობრივი და თვისობრივი: ფინანსური და არაფინანსური მონაცემები, რომლებიც აუცილებელია დაფინანსების სისტემის სათანადო მუშაობისთვის, პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება და ზეგავლენის შეფასება).

მექანიზმები წარმოადგენს გზებს და საშუალებებს, რათა ეფექტურად და ეფექტიანად მოხდეს ფინანსების მობილიზებიდან ფინანსების განაწილებაზე გადასვლა.

1.3 დაფინანსების ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლები 2024 წლისთვის

2024 წლის ძირითადი მიზნებრივი მაჩვენებლების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ **თანდათანობით 2021-დან 2024 წლამდე პერიოდში,** ოთხწლიანი საშუალოვადიანი ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში. საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულება, რომ განათლების დაფინანსება გაიზარდოს მშპ-ის 6%-მდე 2022 წლიდან, შესაძლებელს გახდის პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების ბიუჯეტის მნიშვნელოვან ზრდას ამავე წლიდან. 2024 წლის ძირითადმა მიზნობრივმა მაჩვენებელმა 2021 წლისთვის უნდა შეადგინოს 40%, 2022 წელს - 70%, 2023 წელს - 85% და 2024 წელს - 100%.

ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევა დამოკიდებულია პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებისთვის სახსრების მობილიზებაზე, განაწილებასა და მართვაზე დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმების მეშვეობით. **მობილიზების** მეშვეობით ხდება არსებული დაფინანსების წყაროების გაფართოება, რათა მასში შედიოდეს სახელმწიფო, საზოგადოება, დამსაქმებელი, ფიზიკური პირები და განვითარების პარტნიორების გრანტები, მათ შორის სესხის დაფინანსების მეშვეობით. **მექანიზმები**, რომელთა მეშვეობითაც ხდება სახსრების განაწილება პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებზე მიზნად ისახავს პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებში თანაბარ მონაწილეობას მე-3-მე-5 საფეხურებზე. **სახსრების** განაწილება ხდება შემდეგი სახის დაფინანსების მეშვეობით:

1. ვაუჩერული პროგრამული დაფინანსება (ინგლ. *Voucher Programme Funding*), რაც გათვალისწინებულია სწავლების **პირდაპირი დანახარჯების დასაფარად**
2. მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება (ინგლ. *Targeted Fouched Programme Funding*) პრიორიტეტული და სპეციალური პროგრამებისთვის;
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების საბიუჯეტო დაფინანსება (ინგლ. *Institutional Support Funding*) ისეთი **არაპირდაპირი დანახარჯების ასანაზღაურებლად** როგორიცაა, მაგალითად, ადმინისტრაციული ხარჯები და სხვ.;
4. საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსება (ინგლ. *Performance-based Funding*) როგორც დამატებითი წახალისების მექანიზმი სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ასევე პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის ეფექტიანობის ზრდის მიზნით;

5. თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული დაფინანსება[1] (ინგლ. Equity Funding), როგორც რესურსების განაწილების დამოუკიდებელი მექანიზმი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და სოციალური ინკლუზიის (ჩართულობის) ხარჯების დასაფარად. რესურსების მართვა მოითხოვს ფინანსური მართვის სისტემის გაუმჯობესებას ტექნოლოგიებისა და ხელმძღვანელი თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერების გზით.

პროფესიული განათლებისა და მომზადების დივერსიფიცირებული დაფინანსების მობილიზების, განაწილებისა და მართვისთვის საჭიროა მთავრობის ახალი დადგენილება, რომელიც ჩაანაცვლებს არსებულ #244-ე დადგენილებას.

1.4 ფინანსური ხელმისაწვდომობა

პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების სრული ბიუჯეტის პროგნოზი 2024 წლისთვის შეადგენს 163.3 მილიონ ლარს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ასევე, აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული განათლებისა განსახორციელებლად საჭირო დაფინანსება, მათ მიერ შემოსავლის მომტანი საქმიანობის ჩათვლით, შეადგენს 182.35 მილიონ ლარს, რაც განათლების სისტემის საერთო ბიუჯეტის 4.14%-ს შეადგენს. პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებისთვის გაანგარიშებული საერთო საბიუჯეტო მოთხოვნიდან 74% საჭიროა ვაუჩერული დაფინანსებისთვის, 18% - საგანმანათლებლო დაწესებულებების საბიუჯეტო დაფინანსებისთვის, ხოლო 7% - საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსებისთვის.

ცხრილი 2. პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების სრული მოთხოვნა და მიწოდება

პროფესიული განათლების ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასება ('000 ლარი)	2021	2022	2023	2024
განათლების მთლიანი ბიუჯეტი	1,583,943	3,725,118	4,047,900	4,400,067
პროფესიული განათლების მთლიანი ბიუჯეტი (განათლების საერთო ბიუჯეტის 3.71%)	58,767	138,209	150,185	163,251
პროფესიული განათლების მთლიანი ბიუჯეტი (განათლების საერთო ბიუჯეტის 5.00%)	79,197	186,256	202,395	220,003
პროფესიული განათლების სრული მოთხოვნა, მათ შორის შემოსავლის მომტანი საქმიანობა	72,502	99,421	146,850	182,353
პროფიციტი / დეფიციტი (პროფესიული განათლების ბიუჯეტი 3.71%)	-13,735	38,788	3,335	-19,102
საბიუჯეტო დაფარვა (პროფესიული განათლების ბიუჯეტი 3.71%)	81%	139%	102%	90%
პროფიციტი / დეფიციტი (პროფესიული განათლების ბიუჯეტი 5.00%)	6,695	86,835	55,545	37,650
საბიუჯეტო დაფარვა (პროფესიული განათლების ბიუჯეტი 5.00%)	109%	187%	138%	121%

ცხრილი 2 განსაზღვრავს საწყისი ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასების ინდიკატორს. აღსანიშნავია, რომ საბაზისო სცენარით პროფესიული განათლების და მომზადების პროგრამების ბიუჯეტის დეფიციტი 19.1 მლნ ლარს აღწევს, რაც ნიშნავს, რომ 2024 წლისთვის შესაძლებელია მთლიანი მოთხოვნის 80%-ის დაფარვა.

პროფესიული განათლების ხარჯების ფარდობა განათლების მთლიან ხარჯებთან ამჟამად 3.71%-ს შეადგენს. იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსების პროგნოზი გულისხმობს პროფესიული განათლების ხარჯების განათლების მთლიან ხარჯებთან თანაფარდობის - 3.71%-ის შენარჩუნებას, საჭირო გახდება პროფესიული განათლების ხარჯების წილის ზრდა განათლების მთლიან ხარჯებში. წინააღმდეგ შემთხვევაში დეფიციტის დაბალანსება უნდა განხორციელდეს დონორების მხარდაჭერით.

იმ შემთხვევაში, თუ ხარჯვის დონე განათლების მთლიანი ბიუჯეტის 5%-მდე აიწევს, 2024 წლისთვის მთლიანი პროფიციტი 37.65 მლნ ლარს შეადგენს.

[1] გენდერული თანასწორობისა და სოციალური ინკლუზიის სისტემური დანერგვა საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის მზარდი მოთხოვნილებაა. ყველაზე მარტივ ფორმაში ეს გულისხმობს, რომ განმახორციელებლებმა უნდა უზრუნველყონ გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობისთვის სხვადასხვა ბერკეტების გამოყენება. ეს შეიძლება ითვალისწინებდეს პროგრამებისგან სარგებლის მიღებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, მეტ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ან პროგრამების რესურსების განაწილების სამართლიან გზებს. არსებობს მტკიცებულებები, რომ გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობისათვის დახარჯული სახსრები ხშირად არაეფექტიანია. ამიტომაც ამ დანიშნულებისათვის ცალკე მდგომი და მიზნობრივი ბიუჯეტის ქონა ყველაზე ეფექტიანი გადაწყვეტილებაა.

1.5 სამართლებრივი ბაზა დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმებისთვის

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ საქართველო არის სოციალური სახელმწიფო და მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს განათლების განვითარებაზე საქართველოში. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული განათლება.

საქართველოს 2018 წლის კანონი პროფესიული განათლების შესახებ განსაზღვრავს პროფესიული განათლების დაფინანსების ძირითად პრინციპებს. აღნიშნული კანონის 30-ე მუხლის თანახმად, ცენტრალური, ადგილობრივი და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაძლებელია სამი ტიპის განათლების დაფინანსება, კერძოდ: (i) პროფესიული განათლება, (ii) მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები და (iii) სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები. ამავე მუხლით, აღნიშნული პროგრამების დაფინანსება ასევე შესაძლებელია განახორციელონ სხვა პირებმა ან/და ორგანიზაციებმა.

მთავრობის #244-ე დადგენილება განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების წესსა და პირობებს, თავდაპირველად მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებების, ხოლო 2019 წლის ცვლილებებით კერძო დაწესებულებების შემთხვევაშიც. აღნიშნული პროცედურა ეხება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ პროფესიული განათლების დაფინანსებას. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მთავრობებს, სხვა სამინისტროებს უფლება აქვთ სამართლებრივი აქტებით განსაზღვრონ წესი და პირობები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლების გაფართოების მიზნით საჭიროა ახალი ზოგადი დადგენილება, რომელიც პასუხისმგებელ უწყებებს განკარგულებების, მითითებებისა და სხვ. გაცემის შესაძლებლობას მისცემს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მობილიზების, განაწილებისა და მართვის მიზნით.

მთავრობის მიერ შეთავაზებული დადგენილება **დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმების** ფარგლებში ყურადღებას ამახვილებს ფინანსების მობილიზებაზე, სახსრების განაწილებასა და მართვაზე პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებისთვის.

2024 წლისთვის ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად სამინისტრომ განვითარების პარტნიორებთან ერთად უნდა მიიღოს განვითარების სამუშაო გეგმა სტანდარტების განხორციელების ოთხი წლიური სამოქმედო გეგმის (SIAPs) სახით, რომელიც მიმართულია **მიზნობრივი მაჩვენებლების** მიღწევაზე დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმების მეშვეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებს არ შეაქვს შინაარსიანი წვლილი ადამიანური კაპიტალის განვითარებაში და არსებული ფორმატით არამდგრადად იქცევა.

2. კონტექსტი და დასაბუთება

2.1 კონტექსტი

დიდი ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის (GGF) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის მიზანია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერა პროფესიული განათლებისა და მომზადების (VET) სისტემის დაფინანსების დივერსიფიცირებული პოლიტიკის შემუშავებაში. პროექტის ძირითადი მიზანია პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის შიდა ეფექტურობის გაუმჯობესება დივერსიფიცირებული დაფინანსების პოლიტიკის მეშვეობით, რაც ორიენტირებული იქნება ყველაზე ეფექტური და ინკლუზიური პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების უზრუნველყოფაზე და სისტემის არსებული ძლიერი მხარეების განვითარებაზე პროფესიული განათლებისა და მომზადების დაფინანსების მექანიზმების შემუშავების მეშვეობით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში პროექტის გუნდი განახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- საქართველოში არსებული დაფინანსების სისტემისა და პროფესიული განათლების და მომზადების პოლიტიკის მიმოხილვა და ანალიზი;
- დარგის დამატებითი საჭიროებების შეფასება, რომელთა გათვალისწინება და ხელშეწყობა შესაძლებელია დაფინანსების პოლიტიკის ფარგლებში;
- საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შეფასება პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების თანამედროვე მიდგომების გამოსავლენად და პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემების შიდა ეფექტიანობის დასადგენად;
- ქვეყნისთვის სასურველი პოლიტიკის ვარიანტების განსაზღვრა, საერთაშორისო კარგი პრაქტიკისა და მისი რელევანტურობის გათვალისწინებით საქართველოს კონტექსტში;
- ახალი მოდელის სისტემის შიდა ეფექტიანობაზე პოტენციური ზემოქმედების ხარჯების და სარგებლის ანალიზი;
- სამუშაო გეგმის შემუშავება განხორციელებადი პოლიტიკის ვარიანტებისთვის, შესაბამის ფინანსურ რეგულაციებთან ერთად;
- განათლების სამინისტროს მხარდაჭერა დაფინანსების მარეგულირებელი ნორმების პროექტის შემუშავებაში.

პროექტის ძირითადი პარტნიორია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. პროექტის რესურსები გამოყენებული იქნება შემდეგი შედეგების მისაღწევად:

- პროფესიული განათლებისა და მომზადების დაფინანსების საქართველოში არსებული მექანიზმების შეფასება (**პროდუქტი 1)**
- შეფასების ანგარიშის მომზადება პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების სფეროში საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გამოსავლენად საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებულ დაფინანსებაზე და სასურველ მოდელზე (მოდელებზე) ყურადღების გამახვილებით (**პროდუქტი 2)**
- წინასწარი შეფასება „საქართველოში პროფესიული განათლებისა და მომზადების დაფინანსების“ სასურველი მოდელის ხარჯებისა და სარგებლის ანალიზის მეშვეობით **(პროდუქტი 3)**
- პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების მექანიზმის დანერგვის სამუშაო გეგმა და მთავრობის დადგენილების პროექტი „საქართველოში პროფესიული განათლების პროგრამების დაფინანსების შესახებ“ **(პროდუქტი 4)**

2.2 დასაბუთება

პროფესიული განათლების შესახებ 2018 წლის სექტემბრის კანონის 23-ე მუხლის თანახმად, პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების მიზანია:

- ახალი საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო კვალიფიკაციის დანერგვა (დაშვება საბაზო ზოგადი განათლების შემთხვევაში) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 საფეხურზე.
- ახალი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო კვალიფიკაციის დანერგვა (დაშვება საბაზო ან სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული უნდა იყოს სრული ზოგადი განათლების ძირითადი კურიკულუმი იმ სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც ჩაირიცხებიან საბაზო ზოგადი განათლების დასრულების საფუძველზე). აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 საფეხურს.

- უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა (დაშვება სრული ზოგადი განათლების ან საშუალო პროფესიული განათლების საფუძველზე) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 საფეხურზე.
- მე-5 დონეზე ახალი ასოცირებული ხარისხის დანერგვა, რომლის მინიჭება ხდება უმაღლესი განათლების მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ან მსგავსი პროგრამის დასრულების შემდეგ. ჩვეულებრივ, აღნიშნულ პროგრამებზე დაიშვებიან სტუდენტები, რომელთაც დასრულებული აქვთ საშუალო განათლება და მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები. ასოცირებული ხარისხის პროგრამებზე ჩარიცხულთა ჯგუფები მოიცავს სტუდენტებს, რომლებიც იყენებენ სწავლის მეორე შანსს, როგორც წესი 25 წლის ქვემოთ და უფროსი ასაკის სტუდენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
- 2-5 საფეხურებზე დანერგილია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კვალიფიკაციები.

დღესდღეობით, ევროპაში, პროფესიული განათლება და მომზადება რთული ფინანსური გამოწვევების წინაშეა. დაფინანსების ტრადიციული მექანიზმები შეიცვალა და დღესაც განაგრძობს ტრანსფორმაციას. ამასთან, მრავალ ქვეყანაში საჯარო სახსრები აღარ არის იმდენი, რამდენიც იყო წარსულში და ხშირად უფრო რთული და კონკურენტულია მათი განაწილება განათლების სხვადასხვა დარგს შორის. ცვლილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპაში საჯარო ფინანსებზე სახელმწიფოს ტრადიციული დამოკიდებულების გამო, სადაც სულ უფრო იზრდება ზეწოლა პროფესიული განათლების პროგრამების დაფინანსების რეჟიმების მდგრადობაზე და არსებობს ზრდადი ზეწოლა შემოსავლების ახალი წყაროების მოსაძიებლად. დაფინანსების ეფექტიანობა პოლიტიკის განსაზღვრული მიზნების ეკონომიურად მიღწევის შესაძლებლობების თვალსაზრისით სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

როგორც ევროპაში, ასევე დანარჩენ მსოფლიოში 1990 წლებიდან არსებობს ყველა ქვეყნისთვის საერთო ტენდენცია, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების ხარჯების ტვირთის გადანაწილება მოხდეს ხელისუფლებას, დამსაქმებელსა და ფიზიკურ პირებს შორის. აღნიშნული ინფორმაცია მიღებულია ევროპისა და სხვა ქვეყნების დაფინანსების მექანიზმების შესწავლის შედეგად.

პროფესიული განათლების თვალსაზრისით ახალი ტენდენციები გვიჩვენებს, რომ ნაკლებად ხდება დასაქმების წინა პროფესიული განათლების საშუალო განათლების მაღალი საფეხურის ფარგლებში განხორციელება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წლიური ანგარიშის - “Education at a Glance 2019” თანახმად, იცვლება პროფესიული განათლების როლი განათლების სისტემაში. ის რაც წარსულში საშუალო განათლების მაღალი საფეხურის ფარგლებში ხორციელდებოდა, ამჟამად ნაწილობრივ ან სრულად ხორციელდება საშუალო განათლების შემდეგომ ეტაპზე OECD-ის 36 წევრი ქვეყნიდან 21 ქვეყანაში, სადაც სწავლის დაწყება ხდება 18-19 წლის ასაკში ტრადიციული 15-16 წლის ასაკის ნაცვლად. ეს იმ ფაქტის გამოც ხდება, რომ მე-4 საფეხურზე მრავალი პროფესია მოითხოვს სრული საშუალო განათლების ქონას, როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას და ხორციელდება დუალური ანუ თანამედროვე სტაჟირების ტიპის სამუშაოზე დაფუძნებული პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის ფარგლებში. ამასთან, მრავალი ტრადიციული პროფესია მოითხოვს მე-5 საფეხურის კვალიფიკაციას, რასაც ადგილი აქვს უმაღლესი დონის პროფესიული განათლებისა და მომზადების ან ასოცირებული ხარისხის უმაღლესი განათლების ფარგლებში, რაც 2018 წლიდან უმაღლესი განათლების საბაკალავრო პროგრამისგან დამოუკიდებელია. ცვლილება პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით ასევე განპირობებულია პროფესიული განათლების დაფინანსების უფრო დინამიკური დაფინანსების მოდელზე გადასვლით.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“ **პროფესიული განათლების სისტემის დაფინანსების ეფექტური მექანიზმების საჭიროებაზე** საუბრობს მე-2 სტრატეგიულ ამოცანაში, რომელიც გულისხმობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის (LLL) პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. აღნიშნულ ამოცანაში „პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოვების ხელშეწყობასთან“ ერთად დაფინანსების პოლიტიკისთვის, მოხსენიებულია სხვა საჭიროებებიც, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს დაფინანსების ახალმა მოდელმა, კერძოდ მან ხელი უნდა შეუწყოს:

- დაფინანსების წყაროების გაფართოებას;
- დამატებითი ფინანსური რესურსების გენერირებას;
- კერძო სექტორის ჩართულობას;
- დაფინანსების ეფექტურ განაწილებას ინსტიტუტებს, დისციპლინებსა და პროგრამებს შორის;
- პროფესიული განათლების ეფექტიანი მართვის ხელშეწყობას[2].

[2] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2017 წელი

3. დივერსიფიცირებული დაფინანსების პოლიტიკა პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებისთვის

3.1 პოლიტიკა

პოლიტიკის კონტექსტში გათვალისწინებული უნდა იქნას **რესურსების მობილიზება** (წყაროები, გეგმები, ოდენობები, მოძიების მეთოდები და მექანიზმები); **რესურსების განაწილება** (რესურსების სისტემაში განაწილებისა და მიმართვის კრიტერიუმები და მექანიზმები); **დაფინანსების მართვა** (მმართველი ორგანოები და მექანიზმები, რომლებიც ამოქმედებს დაფინანსების ჯაჭვს, ემსახურება პოლიტიკის მიზნებს და ასრულებს მკაფიო წესებს).

სისტემაზე მნიშვნელოვან გავლენას კიდევ ორი საკითხი ახდენს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები სათანადო ყურადღებას მოითხოვს. ეს საკითხებია **ხარჯების შეფასება** და მონაცემების მოპოვების გზით მიღებული **ფინანსური ინფორმაცია**. მართალია, აღნიშნული საკითხები უშუალოდ რესურსების მობილიზების, განაწილებისა და მართვის პროცესის შემადგენელი ნაწილი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორებია.

პროფესიული განათლების დაფინანსების მექანიზმები არაერთგვაროვანია და მორგებულია ყოველი კონკრეტული ქვეყნის საჭიროებებზე მოცემულ დროს. თუმცა, კვლევა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ არსებობს დაფინანსების 10 მექანიზმი და ეს მექანიზმები გამოიყენება, როგორც დაფინანსების შესაძლებლობების ერთგვარი **მენიუ** ან ჩამონათვალი, რომელთაც შესაძლოა ვუწოდოთ **„პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმების“** შემოთავაზებული ვარიანტები.

ეს მექანიზმებია:

1. **საბიუჯეტო დაფინანსებაზე დაფუძნებული სახელმწიფო დაფინანსება** სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტიდან და სხვა ტიპის დაფინანსება სახელმწიფო სისტემიდან.
2. **დამსაქმებლის მიერ მართული „ტრენინგების ფონდი“** არის დაფინანსების გამოყოფილი ოდენობა ან ნაკადი ჩვეულებრივი საბიუჯეტო არხების მიღმა სამუშაოსთვის პროდუქტიული უნარების განვითარების მიზნით. მსგავსი სახსრები შესაძლოა იღებდეს გრანტების მხარდაჭერას საჯარო ფინანსებიდან.
3. **საგადასახადო შეღავათები კომპანიებისთვის** არის საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული დათმობები, რაც გულისხმობს მთავრობის გააზრებულ გადაწყვეტილებას, უარი თქვას საბიუჯეტო შემოსავლებზე, რაც თავის მხრივ განპირობებულია საგადასახადო ბაზის (საგადასახადო შეღავათი) ან გადასახდელი გადასახადის (საგადასახადო ჩათვლა) შემცირებით. რაც შეეხება საგადასახადო წახალისებას კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის კუთხით, ჩვეულებრივ, ქვეყნები კომპანიების მიერ ტრენინგებზე გაწეულ დანახარჯს ისეთ კომერციული ხარჯად მიიჩნევენ, რაც 100%-ით გამოიქვითება დასაბეგრი შემოსავლიდან.
4. **საგადასახადო შეღავათები ფიზიკური პირებისთვის (რომლებიც იხდიან საფასურს (გადავადებით / გადაუვადებლად)** არის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დათმობები, რაც გულისხმობს მთავრობის გააზრებულ გადაწყვეტილებას, უარი თქვას საბიუჯეტო შემოსავლებზე, რაც თავის მხრივ განპირობებულია საგადასახადო ბაზის (საგადასახადო შეღავათი) ან გადასახდელი გადასახადის (საგადასახადო ჩათვლა) შემცირებით. რაც შეეხება საგადასახადო წახალისებას ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის კუთხით, სრულწლოვან პირებს შესაძლოა უფლება მიეცეთ, გამოქვითონ პირის არსებულ ან მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებული უწყვეტი პროფესიული მომზადების ან ზრდასრულთა სწავლების ხარჯები, ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ბაზიდან ან გადასახდელი გადასახადიდან. მცირეშემოსავლიან ან შემოსავლის არმქონე ზრდასრულ პირებს, რომლებიც არ იხდიან ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადს, არ შეუძლიათ ისარგებლონ აღნიშნული საგადასახადო შეღავათით. მცირეშემოსავლიანი პირები განათლებასა და მომზადებასთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ განხორციელდება უარყოფითი საშემოსავლო გადასახადი. იმ შემთხვევაში, როდესაც საშემოსავლო გადასახადი პროგრესულია, მაღალშემოსავლიან საგადასახადო კატეგორიაში შესული პირები უფრო მეტად სარგებლობენ საგადასახადო ბაზიდან გადასახადის შემცირებით, ვიდრე დაბალშემოსავლიან საგადასახადო კატეგორიაში მყოფი პირები.
5. **გრანტები კომპანიებისთვის** მიზნად ისახავს განათლებასა და მომზადებაში ინვესტიციის განხორციელებას, სადაც ფინანსური შენატანები მერყეობს 40%-დან 100%-მდე. მსგავსი გრანტები ასევე გამოიყენება დამსაქმებლის მიერ მართული ტრენინგების ფონდის შემთხვევაშიც.
6. **გრანტები ფიზიკური პირებისთვის** წარმოადგენს სუბსიდიას ფიზიკური პირის მიერ განათლებაში განხორციელებული ინვესტიციის მხარდასაჭერად, სადაც ფინანსური შენატანები 15%-დან 100%-მდე მერყეობს.
7. **სასესხო სქემა** შესაძლებლობას აძლევს ფიზიკურ პირებს, ისესხონ ფინანსური რესურსებით (ხელსაყრელი პირობებით) მომავალი შემოსავლიდან, რათა დაფარონ (განათლების და მომზადების) დანახარჯების

ნაწილი. სახელმწიფო ასევე არ არის ბანკების მიერ სასესხო სქემების შეთავაზების წინააღმდეგი. თუმცა ეს ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებს.

8. **სასწავლო/საგანმანათლებლო შვებულება** მარეგულირებელი ინსტრუმენტია, რომელიც ნორმატიული უფლების ან კოლექტიური ხელშეკრულებების საფუძველზე ადგენს პირობებს, რომელთა შესაბამისად დასაქმებულ პირს შეიძლება მიეცეს დროებითი შვებულება სასწავლო მიზნით. ამასთან, სასწავლო შვებულება დასაქმებულს შესაძლებლობას აძლევს, გააცდინოს სამსახური განათლებისა და მომზადების (ტრენინგის) მიზნით ისე, რომ არ დაკარგოს შემდგომში სამსახურში დაბრუნების უფლება ან არსებულ სამსახურთან დაკავშირებული სხვა სოციალური უფლებები. გრძელვადიანი შვებულების შემთხვევაში სხვადასხვა რეგულაციით შესაძლებელია განისაზღვროს, იმოქმედებს თუ არა ეს უარყოფითად დამსაქმებელთან არსებულ კონკრეტულ უფლებებზე (მაგალითად, სავალდებულო ხელფასის მატება წელიწადში ერთხელ) ან სოციალური უსაფრთხოების სხვა სისტემა (მაგ. ხანდაზმულობის საპენსიო სქემებში ჩასართავად არსებული ნამსახურობის წლები). ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად უნგრეთში სასწავლო შვებულება გათვალისწინებულია მხოლოდ სავალდებულო მომზადებაში მონაწილეობის შემთხვევაში (CEDEFOP 2011), რომელზე პასუხისმგებლობაც ეკისრება დამსაქმებელ ორგანიზაციას.
9. **ანაზღაურების მუხლი** სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც წაახალისებს კომპანიებს განახორციელონ ინვესტიცია დასაქმებულთა გადამზადებაში იმ პირობით, რომ გადამზადებული თანამშრომელი განაგრძობს კომპანიაში მუშაობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. დასაქმებულ პირს შეუძლია სხვა კომპანიაში გადასვლა, მაგრამ შეიძლება მოეთხოვოს გადამზადების ხარჯების (ნაწილის) ანაზღაურება. ანაზღაურების მუხლის შემოღებამ უნდა უზრუნველყოს დამსაქმებლის მიერ თანამშრომლების გადამზადებაში ჩადებული ინვესტიციების ზრდა, რადგან თანამშრომელთა ტრენინგების ანაზღაურების რისკები მცირდება მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ამ საქმიანობიდან რაიმე დამატებითი სარგებელი არ აქვს. დამქირავებლის მზაობით, დააფინანსოს თანამშრომელთა გადამზადება (ტრენინგ(ებ)ი), თავის მხრივ, სარგებლის მომტანია დასაქმებულთათვის, რომლებიც მიღებულ ცოდნას მომავალშიც გამოიყენებენ.
10. **სპეციალური მექანიზმები,** რომელიც შეიცავს ფორმულაზე დაფუძნებული დაფინანსების ელემენტებს, გამოიყენება როგორც დამოუკიდებელი ინსტრუმენტი ან სხვა მექანიზმებთან ერთობლიობაში.

ზემოხსენებული **10 მექანიზმი, როგორც პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დივერსიფიცირებული დაფინანსების მექანიზმები** საქართველოში არის დაფინანსების შეთავაზებული პოლიტიკა და ეფუძნება „საქართველოში პროფესიული განათლების დაფინანსების სისტემის სიტუაციური ანალიზის ანგარიშს“ **(დანართი „ა“)** და „პროფესიული განათლებისა და მომზადების დაფინანსების კარგი პრაქტიკის შემაჯამებელი ანგარიშის“ მიმოხილვას (ჩეხეთის, დანიისა და ესტონეთის მაგალითებზე დაყრდნობით) **(დანართი „ბ“)**.

3.2 დაფინანსების პოლიტიკა მობილიზებისთვის (დაფინანსების წყაროები)

დაფინასების წყაროების დივერსიფიცირება მიზნად ისახავს ბიზნეს სექტორის ჩართულობის გაზრდას და ინვესტიციების მოზიდვას კერძო სექტორიდან. დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება არის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიების გზა შეზღუდული საჯარო ფინანსების პირობებში. ზოგადი გამოწვევა, რომელიც საერთოა ევროპის განათლების ფონდის ყველა პარტნიორი ქვეყნისთვის, არის უფრო მეტი რესურსის მობილიზება დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირების გზით საჯარო და კერძო სექტორებს შორის ხარჯების უფრო სამართლიანი განაწილების მიზნით. გარდა ამისა, საჭიროა პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დასაბუთება სახელმწიფო ბიუჯეტის წილის ზრდის მიზნით, რადგან სახსრების მობილიზების არსებული დონე აფერხებს ამბიციური პოლიტიკის განხორციელებას. (დეტალები იხილეთ „ბ“ დანართში.)

ქვემოთ მოცემულია მექანიზმები პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამების დასაფინანსებლად ფინანსური რესურსების **მობილიზების მიზნით**:

1. სახელმწიფო / საჯარო წყაროები
2. სტუდენტის / მოსწავლის მიერ გადახდილი საფასური
3. დამსაქმებლის დაფინანსების წყაროები პროფესიული განათლების პროგრამებში პირდაპირი გადახდების ან დამსაქმებლის მიერ მართულ ტრენინგების ფონდში განხორციელებული შენატანების მეშვეობით
4. ფილანტროპია
5. საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკური საქმიანობა
6. საჯარო და კერძო თანამშრომლობა
7. გრანტები ან სესხის დაფინანსება საერთაშორისო მრავალმხრივი/ორმხრივი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა შესაძლო ორგანიზაციების მიერ

3.3 დაფინანსების პოლიტიკა განაწილებისთვის (პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსება)

ანაზღაურების პოლიტიკის დაფინანსებისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა რეგულირებისა და წახალისების სათანადო ნაზავის უზრუნველყოფა, რათა უზრუნველყოფილი იქნას საჯარო სწავლების ინტერესების დაცვა კონკურენტული სასწავლო ბაზრების პირობებში. კიდევ ერთი მიზეზი ამ ტიპის სახელმწიფო ინტერვენციისთვის არის „მაკორექტირებელი როლი“, რათა წაახალისოს საწარმოები, უზრუნველყონ უფრო მეტი და ხარისხიანი სწავლება. რესურსების განაწილება ასევე შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს. რესურსების განაწილების თვალსაზრისით ძირითადი გამოწვევა მდგომარეობს ისეთი სქემების განსაზღვრაში, რომელებიც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების და მომზადების პოლიტიკის მიზნების მიღწევას, შრომის ბაზრისთვის რელევანტურობისა და პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის თანაბარი ხელმისაწვდომობის (როგორც ფიზიკური პირების, ასევე კომპანიებისთვის) საერთო მიზნების ჩათვლით. (დეტალები იხილეთ „ბ“ დანართში.)

საქართველოში პროფესიული განათლებისა და მომზადების საკითხებში არსებული პოლიტიკის საჭიროებების, ასევე საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, რეკომენდებულია ქვემოთ მოცემული განაწილების ხუთი მექანიზმი:

1. **ვაუჩერული პროგრამული დაფინანსება**[3]
   - ვაუჩერების ღირებულებაა 20%-დან 100%-მდე

2. **მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება**
   - მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება ეძლევა საგანმანათლებლო დაწესებულებებს ინოვაციისა და საცდელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის ყოველწლიურად გამოყოფილი მიზნობრივი პროგრამული სახსრებიდან ფინანსების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში;
   - მიზნობრივი ფინანსები გრძელვადიანი მოხმარების საგნებისთვის საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, პროფესიულ განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრის მიერ დამტკიცებული გრძელვადიანი მოხმარების საქონლის ჩამონათვალის შესაბამისად;
   - მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება საჭიროებებზე დაფუძნებული პროგრამებისთვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით.

3. **საგანმანათლებლო დაწესებულებების საბიუჯეტო დაფინანსება საგანმანათლებლო დაწესებულებების არაპირდაპირი საოპერაციო ხარჯებისთვის**
   - არაპირდაპირი საოპერაციო ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს პირდაპირი საოპერაციო ხარჯების 50%-ს და საუკეთესო შემთხვევაში უნდა შეადგენდეს ვაუჩერის პირდაპირი ხარჯების 35%-ს.

4. **საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსება**
   - საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ყოველწლიურად განისაზღვრება სამუშაოს შესრულების მიზნობრივი ინდიკატორები. თითოეული დაწესებულებისთვის ხორციელდება შედარებითი ანალიზი და საშუალოზე მაღალი შედეგების შემთხვევაში გამოიყოფა საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსება, მთლიანი ხელმისაწვდომი სახსრები კი ნაწილდება წარმატებულ დაწესებულებებზე.
   - [საგანმანათლებლო] დაწესებულების მიერ საქმიანობის შედეგების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საგანმანათლებლო დაწესებულებაზე გამოიყოფა აღნიშნული დაწესებულების მთლიანი ვაუჩერული ბიუჯეტის 20%-მდე.

   <u>საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების დეტალური საორიენტაციო კრიტერიუმები და ფორმულები იხილეთ დანართში „გ“.</u>

5. **თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული (*ინგლ. Equity Funding*) დაფინანსება**
   - საგანმანათლებლო დაწესებულებაზე წლიურად გამოიყოფა დამატებითი დაფინანსება, რათა უზრუნველყოფილი იქნას გენდერული თანასწორობა და სოციალური ჩართულობა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და პირობების საფუძველზე.
   - დამატებითი დაფინანსება სტუდენტების საცხოვრებლით ან/და სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფის მიზნით.

[3] ვაუჩერის პროგრამის დაფინანსება არის პროფესიული განათლების პროგრამების პირდაპირი ხარჯების დაფინანსება, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ის. მაგალითად, კოლეჯის ბაზაზე ან სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, ღია და დისტანციური სწავლება და სხვა.

3.4 პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმების მართვის მიზნით შეთავაზებული პოლიტიკა

დაფინანსების ჯაჭვის მართვა ინსტიტუციური ჩარჩოა, რომელიც აერთიანებს და ერთმანეთთან აკავშირებს პროფესიული მომზადების დაფინანსების წყაროებს (სახელმწიფო ბიუჯეტი, პროფესიული მომზადების დაფინანსების მოსაკრებელი, დონორები და სხვ.) და ანაწილებს სახსრებს სახელმწიფო (ეკონომიკური და სოციალური) პროგრამებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. ზოგადად, დაფინანსება იხარჯება საჯარო უწყებების ან სასწავლო ფონდების (დეტალები იხ. ქვემოთ) მეშვეობით, რომლებიც უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება და ტრენინგების მართვასთან ერთად ასრულებს ბევრად მეტ ფუნქციას, მაგალითად, როგორიცაა კვალიფიკაციის შემუშავება, სერტიფიცირება და ა.შ. ძირითადი გამოწვევაა ტექნიკური მიდგომისგან გათავისუფლება და დაფინანსების განხილვა როგორც პროფესიული განათლებისა და მომზადების პოლიტიკის კოორდინირების ძირითად ბერკეტისა. (დეტალები იხილეთ დანართში „ბ“.)

დინამიკური მოდელის ფარგლებში, პროფესიული მომზადების საჯარო და კერძო პროვაიდერები ფინანსდებიან როგორც საჯარო, ასევე კერძო წყაროებიდან. სახსრების მოძრაობა ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ პირველ ნახაზზე:

ნახაზი 1. სახსრების მოძრაობა პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსებაში[4]



სახსრების მოძრაობის განმარტებები მოცემულია ქვემოთ:

1. ყველაზე ხშირად დაფინანსების ძირითადი წყაროა **სახელმწიფო ან ეროვნული სასწავლო ფონდი/ორგანო**.
2. ცენტრალურად მთავრობისთვის ან სასწავლო ფონდისთვის და არა ცალკეული დაწესებულებებისთვის გამოიყოფა **დონორთა დაფინანსება**.
3. საჯარო სასწავლო დაწესებულებების ძირითადი დაფინანსება ეფუძნება **დაფინანსებას ობიექტური ფორმულის საფუძველზე**.
4. საჯარო სასწავლო დაწესებულებებში ინერგება ხარჯების უფრო მეტი გადანაწილება **კურსის გაზრდილი საფასურის** მეშვეობით, კონკურენტულ დონესთან მიახლოებით.
5. ღარიბი ფენისთვის ხელმისაწვდომი სტიპენდიები ან **სტუდენტური/სტაჟიორთა სესხები**.

[4] წყარო: Adrian Ziderman, 2017

6. საჯარო სასწავლო დაწესებულებები დამატებით შემოსავალს იღებენ **კომპანიებზე მორგებული კურსების საფასურიდან**.
7. … და **ეკონომიკური (შემოსავლის მომტანი) საქმიანობიდან**.
8. გადამზადება (ტრენინგი) სამუშაო ადგილზე ნაწილობრივ ფინანსდება დასაქმებულების მიერ **დაბალი სახელფასო განაკვეთების** ხარჯზე.
9. კომპანიების შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებული იქნას **სახელფასო მოსაკრებლები** პროფესიული მომზადების/გადამზადების ღონისძიებებისთვის სახელმწიფო დაფინანსების ზრდის მიზნით.
10. … ან შესაძლებელია იყოს **მოსაკრებელი-გრანტის სქემის** ნაწილი, რათა კომპანიები წაახალისოს მეტი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განსახორციელებლად.
11. შესაძლებელია ასევე **სახელმწიფო სუბსიდიების** გამოყენება კომპანიებისთვის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დასაფინანსებლად.
12. განსაზღვრული სახელმწიფო პროგრამების **დაფინანსება ხელშეკრულების საფუძველზე** (როგორიცაა, მაგალითად უმუშევრებისთვის) ხელმისაწვდომია როგორც საჯარო, ასევე კერძო სასწავლო დაწესებულებებისთვის.
13. **კონკურსი სახსრების მისაღებად** კიდევ უფრო აძლიერებს საჯარო და კერძო პროფესიული მოსამზადებელი პროგრამების პროვაიდერთა ბაზრის ინტეგრაციას კონკურენტულ საფუძველზე.
14. **საჯარო და კერძო პროფესიული მოსამზადებელი დაწესებულებები.**

4. პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაგეგმილი ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლები 2024 წლისთვის საქართველოში

4.1 ადამიანური კაპიტალის მიდგომა

ტექნოლოგიური განვითარება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სამუშაო პროცესებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ამ ტენდენციის ტემპი და ინტენსივობა შენარჩუნდება უახლოეს მომავალში. პროგნოზები განსხვავებულია, თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ ეს გარკვეულ დონეზე შეეხება სამუშაო ადგილების უმრავლესობას, თუ ყველა მათგანს არა, ხოლო დაბალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელი შრომის ბაზარზე სამუდამოდ ჩანაცვლების განსაკუთრებით დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდება.

სამუშაოს მომავალი **დღეს** იქმნება, საქართველოში კი პროფესიული განათლებისა და მომზადების მოდულების 53% პროფესიული განათლების სისტემის კვალიფიკაციის მე-3 საფეხურზეა, რაც კარგს არაფერს მოასწავებს სამუშაოს მომავლისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ეკონომიკისა და უნარების განვითარება ადამიანური კაპიტალის **ახლებურ გააზრებას** საჭიროებს. მაკკინსი (2018) "ავტომატიკა და სამუშაოს მომავალი" აღნიშნავს, რომ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ცვლილებას უფრო მაღალი კოგნიტური, სოციალური, ემოციური და ტექნიკური უნარების საჭიროების მიმართულებით, რაც განაპირობებს მოთხოვნას უფრო მაღალი დონის კვალიფიკაციებზე.

თანამედროვე ეკონომიკად და საზოგადოებად ჩამოყალიბების გზაზე წარმატების მისაღწევად საქართველომ უნდა აირჩიოს ადამიანური კაპიტალის მიდგომა, რომლის დროსაც უნარების განვითარება უფრო მეტად ეყრდნობა სამომავლოდ პროგნოზირებულ კვალიფიკაციებს, ვიდრე დაბალ კვალიფიკაციაზე დღეს არსებულ მოთხოვნას. ეს დანახულია ადამიანური კაპიტალის პერსპექტივიდან, რომელიც წამყვან როლს თამაშობს თანამედროვე ეკონომიკად და საზოგადოებად ჩამოყალიბებაში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი ლესე-ფერის (laisser-faire) მიდგომის ნაცვლად.

თუმცა, ამავე დროს, შრომის ბაზრის არსებული და მოკლევადიანი საჭიროებები უნდა დაკმაყოფილდეს, როგორც ეს განისაზღვრა ევროპის განათლების ფონდის მიერ ტორინოს პროცესის პროექტზე დაყრდნობით 2019 წელს:

1. მზარდი ეკონომიკა, სერვისების (ტურიზმი, ტრანსპორტი) კონკურენტული უპირატესობა - მაგრამ მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების ნაკლებად შექმნა;
2. დასაქმების ბაზრის ინდიკატორების ეტაპობრივი გაუმჯობესება (↑დასაქმება, ↓უმუშევრობა) – თუმცა, ადამიანური კაპიტალის პოტენციალის ნაკლები გამოყენება;
3. პროფესიული უნარების და კვალიფიკაციების სამუშაოს მოთხოვნებთან შეუსაბამობის არსებითი ხარისხი – მაგალითად, ზედმეტი კვალიფიკაცია, არასაკმარისი კვალიფიკაცია, განათლების სფეროსგან განსხვავებულ სამუშაოზე მუშაობა;
4. ახალგაზრდების გადასვლა სასწავლებლიდან სამუშაოზე და პირველი სამუშაოს პოვნის სირთულე – რაც იწვევს უმუშევრობას ან უმოქმედობას;
5. სიღარიბე და უთანასწორობა უმცირესობების ჯგუფებში – უთანასწორობის ნიშნები განათლების მიღებაში.

დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმები საშუალოვადიანი დანახარჯების ჩარჩოს ფარგლებში 2021-2024 წლებში მიზნად ისახავს, გადაწყვიტოს როგორც მოკლევადიანი კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე ადამიანური კაპიტალის შედარებით გრძელვადიანი საჭიროებები ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების თვალსაზრისით. სირთულე მდგომარეობს იმაში, თუ როგორ უნდა მოხდეს დასაქმების წინა პროფესიული განათლებისა და მომზადების ადეკვატური დაფინანსება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3-მე-5 საფეხურებზე, როგორ დაფინანსდეს უწყვეტი პროფესიული განვითარება უმუშევარი და არასრულად დასაქმებული პირებისთვის და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, როგორ უნდა მოხდეს დასაქმებულთა პროფესიული უნარების გაუმჯობესება ისე, რომ მათი უნარები განვითარებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დარჩეს.

დასაქმების წინა პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებში მონაწილეობას ადგილი აქვს საშუალო სკოლის ზედა საფეხურზე, თუმცა OECD-ის ყველაზე განვითარებულ წევრ ქვეყნებში ეს ხდება საშუალო განათლების შემდგომი ეტაპზე. როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, OECD-ის 2019 წლის „Education Year-Book"-ის თანახმად, OECD-ის 36 წევრი ქვეყნიდან 21 ქვეყანაში პროფესიული განათლება და მომზადება საშუალო განათლების ზედა საფეხურიდან საშუალო განათლების შემდეგომ ეტაპზე და სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლაზე გადავიდა. მიუხედავად ამისა, საქართველოში რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა გაიზარდოს საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებში მონაწილეობა არსებული 2%-დან 15%-მდე, თუ გავითვალისწინებთ, რომ პროფესიული მომზადების განვითარების ევროპული ცენტრის თანახმად, საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებში მონაწილეობა საშუალოდ 47%-ს შეადგენს ევროკავშირის 28 ქვეყანაში და დაახლოებით

15%-ს - OECD-ის 36 ქვეყანაში. დასაქმების წინა პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებში მონაწილეობის მონაცემების პარალელურად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის შრომის ბაზრის კვლევაში ნათქვამია, რომ უმუშევართა და არასრული დატვირთვით დასაქმებულთა რაოდენობა 15-დან 29 წლამდე და 30+ ასაკობრივ ჯგუფებში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. დასაქმებულებთან მიმართებით პრაქტიკულად არ არსებობს სახელმწიფო ღონისძიებები, რომლებიც ოფიციალურად მიმართულია არსებული სამუშაო ძალის პროფესიული უნარების გაუმჯობესების საჭიროებებზე, გარდა იმისა, რასაც სიტუაციის შესაბამისად დამსაქმებლები ახორციელებენ.

ამჟამად, საქართველოში, პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების განხორციელებისთვის საჭიროა საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია, ან, ზოგ შემთხვევაში, ორგანიზაციის რეგისტრაცია. კერძოდ:

- საბაზო, საშუალო და უმაღლესი პროფესიული განათლებისა და მომზადების და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება შესაძლებელია საჯარო ან კერძო პროფესიული კოლეჯების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ;
- საბაზო პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამა – საჯარო ან კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ;
- მომზადების და გადამზადების პროგრამები - საჯარო ან კერძო პროფესიული კოლეჯების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, რომლებსაც აქვთ ერთსა და იმავე სფეროში ნებისმიერი პროგრამის განხორციელების ავტორიზაცია ან/და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რეგისტრირებული ორგანიზაციების მიერ.

ქვემოთ მოცემულ მე-3 და მე-4 ცხრილებში შეჯამებულია პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების განხორციელების სტატისტიკა საქართველოში. პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებს სხვადასხვა საფეხურზე სულ 104 საჯარო და კერძო დაწესებულება, პროფესიული კოლეჯი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს დაახლოებით 16,000-დან 12,000-მდე სტუდენტთან (2014-2018 წწ.). ამასთან, 2019 წელს ამოქმედდა ზრდასრულთა განათლების კურსები. მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების კურსების დაფინანსება 2018 წლის პროფესიული განათლების შესახებ კანონით დანერგილი ახალი პოლიტიკის ღონისძიებაა.

ცხრილი 3. საქართველოში პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების განმახორციელებელი საჯარო და კერძო დაწესებულებების რაოდენობა (2019 წ.)

ტიპი	კერძო	საჯარო	სულ
სკოლა	8	1	9
კოლეჯი	50	25	75
უნივერსიტეტი	7	13	20
სულ	**65**	**39**	**104**

ცხრილი 4. სტუდენტების რაოდენობა პროფესიული განათლების სრულგანაკვეთიან პროგრამებზე საჯარო და კერძო დაწესებულებებში პროგრამის საფეხურის მიხედვით (1-5 საფეხურები) 2014-2019 წლებში

საფეხური	სტუდენტების რაოდენობა													
	2014		2015		2016		2017		2018		2019		2014-2019 - %	
	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო
1	5	3		22		10		35		10				
2	269	785	210	805	110	970	222	1,027	190	686				
3	3,890	7,812	3,368	8,020	2,763	7,804	2,645	8,221	2,598	4,223	1,157	4,685	-70%	-40%
4	860	1,221	719	1,570	622	1,700	622	1,467	357	1,471	321	1,850	-63%	52%
5	1,405	533	1,357	803	1,457	1,331	1,522	759	1,576	1,268	1,966	1,180	40%	121%
სულ	**6,429**	**10,354**	**5,654**	**11,220**	**4,952**	**11,815**	**5,011**	**11,509**	**4,721**	**7,658**	**3,444**	**7,715**	**-46%**	**-25%**

მთლიანობაში ჩანს, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებში მონაწილეობა მცირდება 2014-2019 წლებში, 25%-ით საჯარო და 46%-ით კერძო პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებთან მიმართებით. პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებში მონაწილეობა მდგრად დონეზე შესაძლებელია მხოლოდ რეალისტური, მიღწევადი და მდგრადი მიზნების დასახვისა და ადეკვატური დაფინანსების შემთხვევაში.

4.2 ძირითადი მიზნების შეჯამება 2024 წლამდე

არსებული სიტუაციის მიმოხილვის და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის („ა“ და „ბ“დანართები) შესწავლის საფუძველზე, პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დივერსიფიცირებული დაფინანსების **პოლიტიკა** ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ქვემოთ მოცემულ **ძირითად მიზნობრივ მაჩვენებლებზე 2024 წლისთვის.**

საწყისი პროფესიული განათლება და მომზადება (IVET) – *ზოგადი ან პროფესიული განათლება, რომელიც ხორციელდება საწყისი განათლების სისტემაში, როგორც წესი, სამუშაო ცხოვრების დაწყებამდე. შენიშვნა: (ა) ზოგიერთი სახის მომზადება, რომელიც ხორციელდება სამუშაოს დაწყების შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს საწყის მომზადებად (მაგ. გადამზადება); (ბ) საწყისი განათლება და მომზადება შეიძლება განხორციელდეს ზოგადი და პროფესიული განათლების ნებისმიერ საფეხურზე (სრული სასკოლო ან მონაცვლეობითი მომზადება) ან სტაჟირების დროს. წყარო: CEDEFOP, 2003.*

საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნობრივი მაჩვენებელი ხელს უნდა უწყობდეს საშუალო განათლების ქვედა დონიდან ზედა დონეზე გადასვლას, როგორც წესი 16 წლის ასაკში. ამ სიტუაციაში, მე-9 კლასის მოსწავლეთა 5%-მა სწავლა უნდა გააგრძელოს საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებზე სხვადასხვა გარემოში. 15-19 წლის ასაკის დარჩენილი ნაკადიდან 15% უნდა ჩაირიცხოს საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებზე მე-3 და მე-4 საფეხურებზე. ნებისმიერი განათლების სისტემაში უნდა არსებობდეს განათლების მეორე შესაძლებლობა და ამ კონტექსტში 20-29 წლის ასაკის ადამიანების 5%-ს უნდა მიეცეს ფორმალური საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა. საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემაში უნდა არსებობდეს 1,000 30 წელს გადაცილებული მოსწავლის ადგილი.

ცხრილი 5. საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის ძირითადი მიზნების შეჯამება 2024 წლისთვის

დასახელება	აღწერა	რაოდენობა
1	IVET ასაკი 15-19	**16,375**
2	IVET ასაკი 20-29	**4.035**
3	IVET ასაკი 30+	**1,000**
4	**IVET (დამრგვალებული)**	**21,000**

უწყვეტი პროფესიული განათლება და მომზადება (CVET) - უწყვეტი VET - *განათლება ან მომზადება საწყისი განათლების ან სამუშაო ცხოვრების დაწყების შემდეგ, რომლის მიზანია დაეხმაროს ფიზიკურ პირს, რათა გაიუმჯობესოს ან განაახლოს ცოდნა ან/და უნარები; შეიძინოს ახალი უნარები კარიერული გადაადგილების ან გადამზადებისთვის; განაგრძოს პიროვნული ან პროფესიული განვითარება. შენიშვნა: უწყვეტი პროფესიული განათლება და მომზადება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ნაწილია და შეიძლება მოიცავდეს ნებისმიერი სახის განათლებას (ზოგადი, სპეციალიზებული ან პროფესიული, ფორმალური თუ არაფორმალური და ა. შ.). ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს ფიზიკური პირების დასაქმების შესაძლებლობისთვის. წყარო: CEDEFOP, 2002.*

უმუშევართა / არასრული დატვირთვით დასაქმებულ პირთა 5% ორიენტირებული უნდა იქნას შრომის ბაზრის შესაბამის მოკლევადიან პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებზე. 30 წელს გადაცილებულთაგან ასევე 5% უნდა ჩაირიცხოს მოკლევადიან პროგრამებზე.

ცხრილი 6. უმუშევართა/არასრული დატვირთვით დასაქმებულთა უწყვეტი პროფესიული განათლებისა და მომზადების ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლების შეჯამება 2024 წლისთვის

დასახელება	აღწერა	რაოდენობა
1	CVET ასაკი 15-29	**4,531**
2	CVET ასაკი 30+	**7,756**
3	**CVET (დამრგვალებული)**	**12,000**

დასაქმებულები: *სამუშაო ძალის 2018 წლის კვლევის შესაბამისად (LFS) (საქსტატი) სამუშაო ძალას შეადგენს 1,694,201 პირი ანუ მოსახლეობის 58.8%, საიდანაც 278,277 ანუ 16.4% 15-29 წ. ასაკობრივ ჯგუფშია, ხოლო 1,415,925 ანუ სამუშაო ძალია 83.6% 30 წელს გადაცილებულია.*

საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესწავლა და ექსპერტთა მოსაზრებები გვიჩვენებს, რომ ხუთ წელიწადში ერთხელ საჭიროა ყველა დასაქმებული პირის 10%-ის უნარების განვითარება რაიმე ფორმით, რაც წელიწადში **33,884**-ს

შეადგენს, დამრგვალების შემთხვევაში კი - **33,000**-ს. ეს დამსაქმებლის პასუხისმგებლობაა სახელმწიფოს გარკვეული მხარდაჭერით[5].

ცხრილი 7. დასაქმებულთა უნარების განვითარების საჭიროებების შეჯამება 2024 წლისთვის

დასახელება	აღწერა	რაოდენობა
1	CVET დასაქმებულთათვის	**33,000**

მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები (SCEPs) *- მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მე-5 საფეხურზე. 2018 წლიდან, ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში, მსგავსი კვალიფიკაციები დამოუკიდებელია ბოლონიის უმაღლესი განათლების ჩარჩოში. (2018 წლის მაისის პარიზის ბოლონიის დეკლარაცია.)*

შესაბამისად, საქართველოში მოკლე ციკლის საგანმანთლებლო პროგრამების განხორციელება შესაძლებელია ასოცირებული ხარისხის პროგრამების ან უფრო მაღალი დონის პროფესიული განათლების პროგრამების მეშვეობით. დემოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ყოველწლიურად საშუალო განათლების ზედა საფეხურს ამთავრებს 18 წლის ასაკის დაახლოებით **41,720** მონაწილოების უფლების მქონე კანდიდატი[6]. 2018 წელს **29,483** სტუდენტი ჩაირიცხა როგორც საჯარო, ასევე კერძო საბაკალავრო პროგრამებზე. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში სამუშაო ბაზრის ხასიათს და საერთაშორისო კარგ პრაქტიკას, 30% უნდა ირიცხებოდეს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებზე მე-5 საკვალიფიკაციო საფეხურზე საბაკალავრო პროგრამების ნაცვლად, რაც უდრის 29,483 x 30% = **8,844.** ან, თუ დავამრგვალებთ, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებზე წლიურად უნდა ირიცხებოდეს **8,000** სტუდენტი.

ცხრილი 8. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლების შეჯამება 2024 წლისთვის

დასახელება	აღწერა	რაოდენობა
1	SCEPs უმაღლესი დონის VET	**3000**
2	SCEPs ასოცირებული ხარისხის პროგრამები	**5000**
3	**SCEPs (დამრგვალებული)**	**8,000**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები (SEN) *გათვლისწინებულია საერთაშორისო კარგ პრაქტიკაში დაგვიჩვენებს, რომ სტუდენტთა 6% უნდა განისაზღვროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონედ*

საერთაშორისო მონაცემებზე დაყრდნობით მოსახლეობის ჯგუფების დაახლოებით 6% წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონეს (SEN). ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლებისთვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები პირდაპირ უკავშირდება რაოდენობებს, რომლებიც განსაზღვრულია საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების (IVET), უწყვეტი განათლებისა და მომზადების (CVET) და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებზე (SCEPs) ჩასარიცხად.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სპეციალური საჭიროებების მქონე მოსახლეობა დაჯგუფებულია ოთხ კატეგორიად. ეს კატეგორიებია:

ჯგუფი 1 (შეზღუდული შესაძლებლობები), მხედველობისა და სმენის დაქვეითება, კოგნიტური დარღვევები, ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობები

ჯგუფი 2 (დარღვევები), შეზღუდული შესაძლებლობები სწავლაში, ემოციური შეზღუდული შესაძლებლობები და ა. შ.

ჯგუფი 3 (არახელსაყრელი მდგომარეობა, სოციალურად დაუცველობა), სოციალურ-ეკონომიკური და სხვ.

ჯგუფი 4 (1-3 ჯგუფების მახასიათებელთა ნებისმიერი სახის კომბინაცია)

ცხრილი 9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ძირითადი მიზნობრივი მაჩვენებლები 2024 წლისთვის

დასახელება	აღწერა	რაოდენობა
1	SEN IVET სტუდენტები	**1,260**
2	SEN CVET სტუდენტები	**720**
3	SEN SCEPs სტუდენტები	**480**
4	სულ წლიური SEN საჭიროებები 2024 წლისთვის	**2,460**

[5] დასაქმებულ პირთა პროფესიული უნარების განვითარების ხარჯები არ არის გათვალისწინებული მე-7 ცხრილში მოცემულ საერთო გამოთვლებში

[6] გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული ციფრი ეყრდნობა ჩარიცხვის უფლების მქონეთა დემოგრაფიული მონაცემებს და არა 18 წლის ასაკის სტუდენტების ფაქტობრივი ჩარიცხვის მონაცემებს

4.3 პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის საჭიროებები

პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის საჭიროებები 2024 წლისთვის ეფუძნება 2024 წლის წლიური ჩარიცხვის მოთხოვნას, სისტემის ან პროგრამის ხანგრძლივობის კოეფიციენტს და სტუდენტთა საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარჩენის მაჩვენებლებს.

ადამიანური კაპიტალის საჭიროების გამოთვლა პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის ფარგლებში მოიცავს სისტემის კოეფიციენტის განსაზღვრას საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების (IVET) და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (SCEPs). ამჟამად, პროფესიული განათლებისა და მომზადების მხოლოდ აღნიშნული პროგრამების ხანგრძლივობა აღემატება ერთ წელს. პროგრამების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, IVET-ის შემთხვევაში სისტემის კოეფიციენტი განისაზღვრა, როგორც 1.5, ხოლო SCEPs-თვის - 2, რადგან მე-5 საფეხურის ყველა პროგრამა ორწლიანია.

ცხრილი 10. პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების საჭიროებები ჩარიცხვისა და სტუდენტთა სასწავლო დაწესებულებაში დარჩენის მონაცემებზე დაყრდნობით მე-2 წელს და შემდგომში

ასაკი	VET-ის ტიპი	წლიური ჩარიცხვის მოთხოვნა 2024 წლისთვის	ხანგრძლივობის კოეფიციენტი ან სისტემის შიდა კოეფიციენტი	სტუდენტების დარჩენის პროცენტი	სულ შესაძლებლობების საჭიროება	შენიშვნები
15-29	IVET (დასაქმების წინა)	20,000	1.5	75%	**20,000x1.5x 75%= 22,500**	პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგ ხდება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 ან მე-4 საფეხურის კვალიფიკაციის მინიჭება
30 +	IVET (დასაქმების წინა)	1,000	1.5	75%	**1,000x1.5x 75%= 1,125**	პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგ ხდება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 ან მე-4 საფეხურის კვალიფიკაციის მინიჭება
15-29	CVET	4,000	0.5	0%	**4,000x0.5= 2,000**	ზრდასრულთა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები
30+	CVET	8,000	0.5	0%	**8,000x0.5= 4,000**	ზრდასრულთა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები
უმაღლესი VET/ასოცირებული ხარისხები	SCEPS	8,000	2	75%	**8,000+8,000 x1x 75%= 14,000**	უმაღლესი VET ასოცირებული ხარისხები (ჩვეულებრივ არაუმეტეს 2 წლისა)

SEN	SEN	გათვალისწინებულია ზემოთ მოცემულ ციფრებში	2	75%	**გათვალისწინებულია ზემოთ**	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების განაწილება მხოლოდ სწავლისა და სწავლებისთვის არის განკუთვნილი და არ მოიცავს მიზნობრივი სოციალური დახმარების სხვა ფორმებს საერთო თანასწორობის ფარგლებში.
სულ მოთხოვნა 2024 წლისთვის		41,000			**43,625**	ყველა ტიპი

შენიშვნა

ყოველწლიურად ჩარიცხულთა გაანგარიშებული მონაცემები მიიჩნევა, რომ ახლად ჩარიცხულებს განეკუთვნება. ამასთან, არიან მე-2 და მე-3 კურსელები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს და ცნობილია როგორც სისტემის კოეფიციენტი. ვინაიდან პროფესიული საგანმანათლებლო და მოსამზადებელი პროგრამების ყველა კურსის საშუალო ხანგრძლივობა 14 თვეს შეადგენს, სისტემის კოეფიციენტი მიჩნეულია 1,5-ად ან უფრო მეტად. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო და მოსამზადებელი პროგრამები საშუალოდ ორწლიანია, შესაბამისად, სისტემის კოეფიციენტია 2. ასევე დაშვებულია, რომ თანაბარი შესაძლებლობების ტიპის პროგრამების საშუალო ხანგრძლივობაც ორი წელია. პროგნოზირებული სტუდენტების დარჩენის დონე მიჩნეულია 75%-ად.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ფინანსური ხელმისაწვდომობის პროგნოზირებული ბიუჯეტები შეფასებულია არსებული ჩარიცხვის ზუსტი პროცედურების შესაბამისად (შემოდგომისა და გაზაფხულის ჩარიცხვები).

5. პროფესიული განათლებისა და მომზადების ხარჯები საქართველოში

5.1 პროფესიული განათლებისა და მომზადების ხარჯების შეჯამება საქართველოში, 2021-2024 წლები ('000 ლარი)

პროექტის ხარჯების ბაზის გამოსათვლელად საპროექტო ჯგუფმა მოიძია სტუდენტთა ჩარიცხვების არსებული მონაცემები და მათ განაწილება კატეგორიებისა და წლიური პერიოდების შესაბამისად. ამის შემდეგ, ძირითად მიზნებზე, სტუდენტთა დარჩენის დონეების დაშვებებზე და ჩარიცხვების არსებულ განრიგებზე დაყრდნობით ჯგუფმა შეიმუშავა პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორში ჩარიცხვების პროგნოზი კატეგორიების შესაბამისად 2021-2024 წლებისთვის.

რა თქმა უნდა ვუშვებთ, რომ 2024 წლის ძირითადი მიზნების მიღწევა არარეალისტურია წინა წლებში. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საბიუჯეტო ვალდებულებების თანახმად (2022 წლიდან მშპ-ის 6% დაიხარჯოს განათლების სექტორზე), ვვარაუდობთ შემდეგი მიზნების მიღწევას:

- 2021 – 2024 წლის ძირითადი მიზნების 40%
- 2022 – 2024 წლის ძირითადი მიზნების 70%
- 2023 – 2024 წლის ძირითადი მიზნების 85%
- 2024 – 2024 წლის ძირითადი მიზნების 100%

ცხრილი 11. ვაუჩერის ხარჯების განაწილება პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების ტიპის მიხედვით

ვაუჩერული დაფინანსების მოთხოვნა	2021	2022	2023	2024
IVET	34,680,776	42,474,057	66,026,633	80,455,258
CVET	6,534,645	11,585,745	14,256,157	16,999,461
SCEPS	13,127,410	21,612,067	30,744,926	40,766,701
SEN	7,917,543	9,704,305	15,077,569	18,371,644
სულ	**62,260,374**	**85,376,174**	**126,105,285**	**156,593,063**

საერთაშორისო კარგი პრაქტიკის თანახმად, ინსტიტუციური მხარდაჭერის დაფინანსების ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს ვაუჩერის ხარჯების 35%-ს[7]. რაც შეეხება საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებულ დაფინანსებას, პროექტის ჯგუფმა გამოთვალა პოტენციური კატეგორიების ბიუჯეტი, როგორც ვაუჩერის ხარჯების 10%.

პროფესიული განათლებისა და მომზადების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოსავლის წარმომქმნელი (ეკონომიკური) საქმიანობის წახალისება. პროექტის გუნდმა გამოყო ეკონომიკური საქმიანობის ორი ძირითადი მიმართულება: სტუდენტთა მიერ გადახდილი საფასური და ეკონომიკური საქმიანობის სხვა წყაროები. ჩვენს მიერ განსაზღვნრული მიზნობრივი მაჩვენებლებით სტუდენტთა მიერ გადახდილი საფასური უწყვეტი პროფესიული განათლებისა და მომზადების და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში 10%-ს შეადგენს, ხოლო საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადების სახელმწიფო პროგრამების 100% სახელმწიფოს მიერ დაფინანსდება. პროგნოზირებულია, რომ ეკონომიკური საქმიანობის სხვა წყაროები საჯარო დაწესებულებებში ვაუჩერული ხარჯების 15%-ს შეადგენს.

[7] მიზანშეწონილი, რომ საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არაპირდაპირი ხარჯები ვაუჩერული დაფინანსების 50%-ს არ აღემატებოდეს.

ცხრილი 12. პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების სრული მოთხოვნის განაწილება

VET-ის სრული ხარჯები	2021	2022	2023	2024
ვაუჩერული ხარჯები	62,260,374	85,376,174	126,105,285	156,593,063
საგანმანათლებლო დაწესებულებების საბიუჯეტო დაფინანსება	15,253,792	20,917,163	30,895,795	38,365,300
საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსება	5,883,605	8,068,048	11,916,949	14,798,044
სულ ხარჯები	**83,397,771**	**114,361,385**	**168,918,029**	**209,756,407**
გამოკლებული: კომერციული საქმიანობა - სტუდენტების მიერ გადახდილი საფასური	(4,358,226)	(5,976,332)	(8,827,370)	(10,961,514)
გამოკლებული: კომერციული საქმიანობა - სხვა სახის კომერციული საქმიანობა	(6,537,339)	(8,964,498)	(13,241,055)	(16,442,272)
VET-ის სრული მოთხოვნა	**72,502,206**	**99,420,554**	**146,849,604**	**182,352,621**

შენიშვნა: ცხრილი მოიცავს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებთან დაკავშირებულ ხარჯებს.

პროექტის გუნდმა შეისწავლა პროფესიული განათლებისა და მომზადების არსებული პროგრამების ხარჯები, მათი ხანგრძლივობა და გაითვალისწინა იმ პროგრამების სტრუქტურა, რომლებიც ჯერ ისევ მომზადების პროცესშია ან შემოთავაზებულია, როგორიცაა, მაგალითად, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები. ამასთან, უფრო მეტი სიზუსტისთვის გუნდმა პროგრამის მთლიანი ხარჯები დაჰყო შრომის ანაზღაურების ხარჯებად და სხვა პირდაპირ ხარჯებად, განსაზღვრა შრომის ანაზღაურების დონეების მოსალოდნელი ზრდა მსოფლიო ბანკის პროექტის - მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების სქემის საფუძველზე და მოახდინა არაპირდაპირი ხარჯების პოტენციური ზრდის მოდელირება არსებული ოდენობების კორექტირებით მოსალოდნელი ინფლაციის დონეების შესაბამისად. შედეგად, პროექტის გუნდმა გამოთვალა პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის წლიური ხარჯები სხვადასხვა კატეგორიაში.

დეტალური გამოთვლები იხილეთ „დ“ დანართში.

6. საშუალოვადიანი დანახარჯების ჩარჩო (MTEF)

6.1 განათლების ფაქტობრივი, მოსალოდნელი და გაანგარიშებული ბიუჯეტი, 2017-2024 წლები ('000 ლარი)

სამუშაოს ეს ნაწილი მოიცავდა საქართველოს საგანმანათლებლო ხარჯების მეორად ანალიზს კატეგორიების მიხედვით. ამ თვალსაზრისით, პროექტის გუნდმა შეისწავლა საქართველოს ფაქტობრივი საბიუჯეტო სტატისტიკა და 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი და შეაფასა განათლების მთლიანი ბიუჯეტი მშპ-ის მოცულობის შესაბამისად, მოსალოდნელი ნომინალური ზრდის დონეები და მთავრობის დაპირება განათლების ხარჯების ზრდასთან დაკავშირებით, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით. შედეგად პროექტის გუნდმა შეძლო სამომავლო საბიუჯეტო პროგნოზების გაკეთება 2021-2024 წლებისთვის იმის მითითებით, თუ შერჩეული ცვლადები როგორ გავლენას ახდენს პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორის მთლიანი ბიუჯეტის ხელმისაწვდომობაზე ამ წლების განმავლობაში.

საბიუჯეტო პროგნოზების შესაბამისად, თუ ხარჯების არსებული სტრუქტურა შენარჩუნდება და მშპ ნომინალურად გაიზრდება 8,7%-თ, პროფესიული განათლებისა და მომზადების მთლიანი საბიუჯეტო რესურსები 163,3 მილიონ ლარს მიაღწევს 2024 წლის ბოლოსთვის, რაც განათლების მთლიანი ბიუჯეტის 3,71%-ს შეადგენს. ეს მოიცავს 2022 წლიდან განათლების მთლიანი ბიუჯეტის ზრდას ნომინალური მშპ-ის 6%-მდე, როგორც ამას განსაზღვრავს საქართველოს ბიუჯეტის კანონი.

ცხრილი 13. განათლების ბიუჯეტის ფაქტობრივი, მოსალოდნელი და გაანგარიშებული მონაცემები 2017 წლიდან 2024 წლამდე საქართველოში

მონაცემები '000	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
განათლების ბიუჯეტის ექსტრაპოლაცია 2020-2024	ფაქტ.	ფაქტ.	მოსალოდნელი	პროგნოზი	შეფასებული	შეფასებული	შეფასებული	შეფასებული
განათლება	1,199,131	1,243,492	1,354,118	1,539,730	1,583,943	3,725,118	4,047,900	4,400,067
დაწყებითი განათლება	-	1	100	200	206	484	526	572
ზოგადი განათლება	587,382	603,548	655,884	812,480	835,810	1,965,659	2,135,983	2,321,814
საშუალო განათლება	587,382	603,548	655,884	812,480	835,810	1,965,659	2,135,983	2,321,814
პროფ. განათლება და მომზადება	36,408	36,646	52,660	56,917	58,551	137,701	149,633	162,651
უმაღლესი განათლება	140,507	161,696	160,165	132,169	135,964	319,761	347,468	377,698
უმაღლესი პროფ. განათლება	12,572	210	210	210	216	508	552	600
უმაღლესი აკადემიური განათლება	127,935	161,486	159,955	131,959	135,748	319,253	346,916	377,098
ბაკალავრიატის შემდგომი განათლება	1,491	1,766	2,000	1,500	1,543	3,629	3,943	4,287
დამხმარე საგანმანათლებლო სერვისები	76,351	99,754	108,356	129,375	133,090	313,001	340,123	369,713
კვლევები განათლების სფეროში	63,718	70,273	41,690	41,750	42,949	101,007	109,759	119,308
სხვა განუსაზღვრელი საქმიანობა განათლების სფეროში	293,275	269,810	333,263	365,339	375,830	883,876	960,464	1,044,025

დეტალური გამოთვლები იხილეთ „დ“ დანართში.

7. ფინანსური ხელმისაწვდომობა რესურსების მობილიზებისა და რესურსების განაწილების საფუძველზე

საქართველოში პროფესიული განათლებისა და მომზადების დაფინანსების პოლიტიკის ვარიანტების ანალიზის განუყოფელი ნაწილია ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასება. ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასება აერთიანებს სამთავრობო რესურსების როგორც მოთხოვნის (სახსრების განაწილება), ასევე მიწოდების (ფინანსების მობილიზება) ნაწილებს პროფესიული განათლებისა და მომზადების საგანმანათლებლო საჭიროებებთან დაკავშირებით.

ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასებისას გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:

1) არსებული საბიუჯეტო ხარჯვის დონეების ანალიზი საგანმანათლებლო ფუნქციონალური მიმართულებების მიხედვით;
2) საბიუჯეტო ხარჯვის დონეების პროგნოზი განათლების სფეროში, 2024 წლამდე;
3) პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის არსებული ხარჯები და სტუდენტთა ჩარიცხვის განრიგი;
4) ფინანსური მოდელის შემუშავება.

ცხრილი 14. პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის სრული მოთხოვნა მთლიან მიწოდებასთან მიმართებით 2021-2024 წლებში

ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასევა	2021	2022	2023	2024
განათლების მთლიანი ბიუჯეტი	**1,583,942,620**	**3,725,118,000**	**4,047,900,000**	**4,400,067,300**
VET-ის მთლიანი პროგნოზირებული დაფინანსება	**58,767,375**	**138,209,177**	**150,185,022**	**163,251,118**
VET % განათლ. მთლიანი ბიუჯეტი, საბაზო ვარიანტი	4.58%	2.67%	3.63%	4.14%
VET-ის საჭიროებების მთლიანი პროგნოზი, მთლიანი ხარჯები	**83,397,771**	**114,361,385**	**168,918,029**	**209,756,407**
ვაუჩერული დაფინანსება	62,260,374	85,376,174	126,105,285	156,593,063
საგანმანათლებლო დაწესებულებების საბიუჯეტო დაფინანსება	15,253,792	20,917,163	30,895,795	38,365,300
საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული მხარდაჭერა	5,883,605	8,068,048	11,916,949	14,798,044
პროფიციტი / დეფიციტი კომერციულ საქმიანობამდე	**(24,630,396)**	**23,847,791**	**(18,733,008)**	**(46,505,289)**
ბიუჯეტის დაფარვა კომერციულ საქმიანობამდე	**70%**	**121%**	**89%**	**78%**
კომერციული საქმიანობები (IGAs)	**(10,895,565)**	**(14,940,831)**	**(22,068,425)**	**(27,403,786)**
საფასური	(4,358,226)	(5,976,332)	(8,827,370)	(10,961,514)
სხვა კომერციული საქმიანობა	(6,537,339)	(8,964,498)	(13,241,055)	(16,442,272)
სულ პროგნოზირებული VET-ის საჭიროებები, კომერციული საქმიანობის ჩათვლით	**72,502,206**	**99,420,555**	**146,849,604**	**182,352,622**
პროფიციტი / დეფიციტი	**(13,734,831)**	**38,788,622**	**3,335,417**	**(19,101,503)**
ბიუჯეტის დაფარვა	**81%**	**139%**	**102%**	**90%**
VET % განათლ. მთლიანი ბიუჯეტი, სასურველი	5.00%	5.00%	5.00%	5.00%
სასურველი VET-ის ბიუჯეტი	**79,197,131**	**186,255,900**	**202,395,000**	**220,003,365**
პროფიციტი / დეფიციტი (5%)	**6,694,925**	**86,835,345**	**55,545,396**	**37,650,743**
ბიუჯეტის დაფარვა	**109%**	**187%**	**138%**	**121%**

- ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასებით, პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის დაფინანსების სრული მოთხოვნა 2024 წელს შეფასებულია 182 მილიონ ლარად.
- დაფინანსების სრული მიწოდება საბიუჯეტო პროგნოზების შესაბამისად შეფასებულია 163,3 მილიონი ლარით, რაც 2024 წლისთვის მოთხოვნილი რესურსების დაახლოებით 78%-იაკომერციული საქმიანობის გათვალისწინების გარეშე.
- კომერციული საქმიანობის მოდელირების შემდეგ ბიუჯეტი 2024 წლისთვის 90%-მდე იზრდება.
- საქართველოს მთავრობისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პრიორიტეტების, ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა შეამცირებს საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობას, პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის ბიუჯეტის წილი შეიძლება 3,71%-მდე გაიზარდოს. ბიუჯეტის სასურველი დონეა 5%, რაც მოგვცემს დაფარვის 121%-ს.

ნახაზი 2. საქართველოში პროფესიული განათლებისა და მომზადების ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასება 2021 – 2024 წლებში



ნახაზი 3. ბიუჯეტის მოთხოვნა და მიწოდება 2021-2024 წლებში



ზემოთ წარმოდგენილი ციფრები არ არის ამომწურავი. მონაცემები გადამოწმდება და შესწორდება ფინანსური ხელმისაწვდომობის საფუძვლიანი შეფასების, ხარჯების და სარგებლის, ასევე ხარჯების ეფექტურობის ანალიზის ჩატარებამდე, კარგი მმართველობის ფონდის პროექტის - „დივერსიფიცირებული დაფინანსების მექანიზმები პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებისთვის“ მე-3 ეტაპის დავალების ფარგლებში.

დეტალური გაანგარიშება იხილეთ „დ“ დანართში.

8. დასკვნები და რეკომენდაციები

პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების დაფინანსების დივერსიფიცირებულ მექანიზმებთან დაკავშირებით, რეკომენდებულია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსია გამართოს შემდეგ საკითხებზე:

1. **დისკუსიის** პროცესში გულდასმით მიმოიხილოს არსებული მდგომარეობა **სიტუაციური ანალიზის ანგარიშის** საფუძველზე და სათანადო ყურადღება დაუთმოს პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის არსებულ ძლიერ და სუსტ მხარეებს.
2. **დისკუსიის** ფარგლებში განახორციელოს ფართო კონსულტაციები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად რეალური, მიღწევადი და მდგრადია წინამდებარე ანგარიშში მოცემული მიზნობრივი მაჩვენებლები 2024 წლისთვის, როგორც დაფინანსების შესაფერისი მექანიზმი პროფესიული განათლების განვითარებისთვის.
3. კონსულტაციის პროცესის საფუძველზე შეარჩიოს პოლიტიკა შედარებით გრძელვადიანი პერსპექტივით შემდგომი განვითარებისთვის, რის შედეგადაც მივიღებთ საქართველოს მთავრობის **დადგენილებას** პროფესიული განათლებისა და მომზადების დაფინანსების შესახებ.
4. კარგი მმართველობის ფონდის პროექტის გუნდის მიერ მოწოდებულ ექსპერტულ მოსაზრებაზე დაყრდნობით **"დივერსიფიცირებული დაფინანსების მექანიზმები პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებისთვის საქართველოში"** რეკომენდებულია შემდეგი:

ა) არსებული ვაუჩერული დაფინანსება უნდა შენარჩუნდეს[8] პროფესიული განათლებისა და მომზადების როგორც საჯარო ისე კერძო პროვაიდერების პირდაპირი ხარჯების მხარდასაჭერად საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 მე-5 საფეხურებზე.

რეკომენდებულია, რომ მოხდეს ვაუჩერული დაფინანსების კატეგორიებად დაყოფა, როგორც **„ვაუჩერული დაფინანსება საწყისი პროფესიული განათლებისა და მომზადებისთვის" და „უწყვეტი პროფესიული განათლების მოდულების დაფინანსება"**.

რეკომენდებულია, რომ **ვაუჩერული დაფინანსების** მოდელის ფარგლებში შედიოდეს შემდეგი სახის პირდაპირი ხარჯები:

1. კლასში, ლაბორატორიასა და კომპიუტერულ ოთახში პირდაპირი სწავლების ხარჯები.
2. სახელოსნოში პირდაპირი სწავლების ხარჯები (პრაქტიკული სწავლება და ინსტრუქტაჟი).
3. მასწავლებლის თანაშემწის/ინსტრუქტორის მიერ სახელოსნოში / ლაბორატორიაში / კომპიუტერულ ოთახში სწავლების პირდაპირი ხარჯები.
4. თეორიული სასწავლო მასალების პირდაპირი ხარჯები.
5. პრაქტიკული სასწავლო მასალების პირდაპირი ხარჯები.
6. შეფასების პირდაპირი ხარჯები.
7. არასაკონტაქტო სწავლების/ინსტრუქტაჟის პირდაპირი ხარჯები. ჩვეულებრივი ეს მოიცავს მასწავლებლის / ინსტრუქტორის დროს სასწავლო მასალების მოსამზადებლად.

ვაუჩერული დაფინანსების პროცენტი შეიძლება იყოს 20%-დან 100%-მდე. მაგალითად, 15-19 წლის სტუდენტს შეუძლია მიიღოს ვაუჩერის ღირებულების 100%, ხოლო ზოგიერთი ტიპის სტუდენტები იღებენ ვაუჩერის ღირებულების 20%-დან 100%-მდე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (SEN) მქონე სტუდენტები იღებენ გაზრდილი ღირებულების ვაუჩერს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დამატებითი ხარჯების დასაფარად.

ვაუჩერული დაფინანსებისთვის, ინსტიტუციური კოეფიციენტები გამოიყენება თითოეულ კლასში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის საფუძველზე.

რეკომენდებულია, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ვაუჩერი განსხვავდებოდეს სკოლაზე დაფუძნებული სწავლების ვაუჩერისგან პროგრამის სტრუქტურის გამო.

ბ) დაწესებულებები **პროგრამულ დაფინანსებას** იღებენ შემდეგი მიზნით: (ა) თანამშრომელთა ხელფასებისთვის; ბ) საქმიანობისთვის საჭირო ხარჯებისთვის; გ) სხვა მიმდინარე ხარჯებისთვის (საექსპლუატაციო ხარჯები, მათ შორის დამხმარე კეთილმოწყობის, მაგ. საერთო საცხოვრებლების, სპორტული ნაგებობებისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციის ხარჯები და სხვ.).

[8] პროფესიული განათლების ვაუჩერის დაფინანსება შედარებით ახალია და მეტი დრო სჭირდება, რომ სრულად განხორციელდეს ეფექტური და ეფექტური გზით. ამ მიზეზით, ვაუჩერის დაფინანსების მექანიზმი უნდა შენარჩუნდეს იმპლემენტაციის გაუმჯობესების მიზნით.

რეკომენდებულია, რომ შეიცვალოს დასახელება **საგანმანათლებლო დაწესებულებების საბიუჯეტო დაფინანსება**", რაც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო და მოსამზადებელი პროგრამების განხორციელების პირდაპირ ხარჯებს და დამხმარე ხარჯებს, მაგალითად საერთო საცხოვრებლების ან სპორტული ნაგებობებისა და აღჭურვილობისთვის.

1-ლი კატეგორიის არაპირდაპირი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული განათლებასთან, მოიცავს შემდეგს:

1. იმ თანამშრომელთა პირდაპირი ხარჯები, რომელთა დროის 95%-ზე მეტი ეთმობა **მენეჯერულ და ადმინისტრაციულ ფუნქციებს**.
2. იმ თანამშრომელთა არაპირდაპირი ხარჯები, რომელთა დროის 95%-ზე ნაკლები ეთმობა **მენეჯერულ და ადმინისტრაციულ ფუნქციებს** და ასრულებენ პირდაპირი სწავლების / სხვა ამოცანებს.
3. იმ თანამშრომელთა არაპირდაპირი ხარჯები, რომლებიც დროის 100%-ს პროვაიდერის ისეთ დამხმარე ფუნქციებს უთმობენ, როგორიცაა, მაგალითად **ტექმომსახურება, უსაფრთხოება, კვება, მებაღეობა, დასუფთავება, ტრანსპორტი და ა. შ.**
4. არაპირდაპირი ხარჯები მოიცავს სხვა ტიპის ხარჯებსაც, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ზემოთ, მაგალითად, სერვისის პროვაიდერებთან გარე კონტრაქტები პროვაიდერის ნებისმიერი ტიპის მხარდაჭერის მიზნით, როგორიცაა, მაგალითად, ადგილობრივი ავტობუსის დაქირავება ტურისთვის, სპორტული ნაგებობებისა და აღჭურვილობის ექსპლუატაცია და სხვ.

მე-2 კატეგორიის არაპირდაპირი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება პროფესიულ განათლებას

- ასეთი ხარჯები არ შედის პროფესიული განათლების ჩვეულებრივ ხარჯებში, როგორიცაა, მაგალითად, საერთო საცხოვრებლების მართვა და სხვა შესაძლო ხარჯები.

რეკომენდებულია, რომ არაპირდაპირი ხარჯები არ აღემატებოდეს **პირდაპირი ხარჯების 50%-ს**, და როდესაც მსგავსი ხარჯები სათანადოდ არის ავტორიზებული სამინისტროს მიერ.

გ) დაწესებულებები იღებენ **მიზნობრივ პროგრამულ დაფინანსებას** საბიუჯეტო წლის განმავლობაში მიზნობრივი პროგრამ(ებ)ის საფუძველზე, რომელებიც ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე, ინოვაციასა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებულ მიზნობრივ საჭიროებებზე.

რეკომენდებულია, რომ არ მოხდეს **მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების** ცვლილება, გარდა საჯარო სახსრების თვალყურის დევნების კვლევის (PETs)[9] გამოყენებისა დაფინანსების ტიპთან მიმართებით.

დ) პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემის შიდა არაეფექტურობის გადაწყვეტა.

რეკომენდებულია, რომ საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსება წარმოადგენდეს დაწესებულების სახელმწიფო ბიუჯეტის 20%-მდე, **ერთჯერადი გრანტის** სახით, იმ შემთხვევაში, თუ შესრულდება საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებული კრიტერიუმები.

ამის ნაცვლად, **საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსება** შეიძლება მიზნად ისახავდეს მხოლოდ ვაუჩერის მოდულის დაფინანსებას, როდესაც საქმიანობის შედეგები დაკავშირებულია ვაუჩერის მოდულის დაფინანსების განხორციელებასთან ასოცირებულ პირდაპირ ხარჯებთან, პროგრამაზე ჩარიცხვასთან და პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებული კრიტერიუმების საფუძველზე.

ე) გენდერული თანასწორობა და სოციალური ჩართულობა ამჟამად განიხილება, როგორც ვაუჩერული დაფინანსების ნაწილი ან/და მიზნობრივი დაფინანსება, რომელშიც შევა სხვა წყაროებიდან (განათლების სამინისტროს გარდა) მიღებული დაფინანსება.

რეკომენდებულია ახალი თანაბარი დაფინანსების ბიუჯეტის ხაზის შექმნა, რათა არსებობდეს მკაფიო ღონისძიებები თანასწორობის მიმართულებით (გენდერული თანასწორობა და სოციალური ინკლუზია) პროფესიული განათლებისა და მომზადების სისტემაში, რითაც უფრო სისტემური და ერთიანი მიდგომა იქნება სტუდენტებთან დაკავშირებული ხარჯების მიმართ: საცხოვრებელი, ტრანსპორტი, სტიპენდია, რომლებიც გადანაწილდება საჭიროებების საფუძველზე.

ქვემოთ მოცემული 15-16 ცხრილები სქემატურად ასახავს დაფინანსების დივერსიფიცირებულ მექანიზმებს პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამებისთვის საქართველოში:

[9] მიზნობრივი პროგრამები ჩვეულებრივ ეფუძნება შეფასებულ ხარჯებს და ამ შემთხვევაში, PETs უნდა იყოს საფუძველი მსგავსი დანახარჯების ანგარიშგებისთვის.

ცხრილი 15. დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმები

დაფინანსების წყაროები (მობილიზება)		დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმები		დაფინანსების მიზანი პროფესიული განათლების ახალი #3442-IS/2018 კანონის შესაბამისად
1. სახელმწიფო / საჯარო წყაროები 2. სტუდენტის / მოსწავლის მიერ გადახდილი საფასური 3. დამსაქმებლის დაფინანსების წყაროები პროფესიული განათლების პროგრამებში პირდაპირი გადახდების ან დამსაქმებლის მიერ მართულ მომზადების ფონდში განხორციელებული შენატანების მეშვეობით 4. ფილანტროპია 5. საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკური საქმიანობა 6. საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა მიწოდების პროცესში 7. გრანტები ან სესხის დაფინანსება საერთაშორისო მრავალმხრივი/ ორმხრივი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა შესაძლოა ორგანიზაციების მიერ	→	1. საბიუჯეტო დაფინანსებაზე დაფუძნებული სახელმწიფო დაფინანსება 2. დამსაქმებლის მიერ მართული „ტრენინგის ფონდი“ 3. საგადასახადო შეღავათები კომპანიებისთვის 4. საგადასახადო შეღავათები ფიზიკური პირებისთვის (რომლებიც იხდიან საფასურს (გადავადებით / გადაუვადებლად) 5. გრანტები კომპანიებისთვის 6. გრანტები ფიზიკური პირებისთვის 7. სასესხო სქემა 8. სასწავლო/საგანმანათლებლო შვებულება 9. ანაზღაურების მუხლი 10. საგანგებო მექანიზმები **სახსრების განაწილება** **დაფინანსების მეთოდები (არსებული)** 1. ვაუჩერული დაფინანსება 2. პროგრამული დაფინანსება 3. მიზნობრივი დაფინანსება **დაფინანსების მეთოდები (მომავალში შესაძლებელი)** 1. ვაუჩერული დაფინანსება 2. მიზნობრივი დაფინანსება 3. საგანმანათლებლო დაწესებულებების საბიუჯეტო დაფინანსება 4. საქმიანობის შედეგების დაფინანსება 5. თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული დაფინანსება (გენდერული თანასწორობა და სოციალური ინკლუზია)	→	1. ახალი საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო კვალიფიკაციის დანერგვა (დაშვება საბაზო ზოგადი განათლების შემთხვევაში) **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 საფეხურზე** 2. ახალი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო კვალიფიკაციის დანერგვა (დაშვება საბაზო ან სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული უნდა იყოს სრული ზოგადი განათლების ძირითადი კურიკულუმი იმ სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც ჩაირიცხებიან საბაზო ზოგადი განათლების დასრულების საფუძველზე). აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 საფეხურს** 3. ახალი უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა (დაშვება სრული ზოგადი განათლების ან საშუალო პროფესიული განათლების საფუძველზე) **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 საფეხურზე** 4. მე-5 საფეხურზე ახალი ასოცირებული ხარისხის დანერგვა, რომლის მინიჭება ხდება უმაღლესი განათლების მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ან მსგავსი პროგრამის დასრულების შემდეგ. ჩვეულებრივ, აღნიშნულ პროგრამებზე დაიშვებიან სტუდენტები,

				რომელთაც დასრულებული აქვთ საშუალო განათლება და მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები. ასოცირებული ხარისხის პროგრამებზე ჩარიცხულთა ჯგუფები შეიძლება მოიცავდეს სტუდენტთა ჯგუფებს, რომლებიც იყენებენ სწავლის მეორე შანსს, როგორც წესი, 25 წლის ქვემოთ და უფროსი ასაკის სტუდენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. 5. **2-5 საფეხურებზე დანერგილია** პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ახალი **კვალიფიკაციები**

ცხრილი 16: დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმები - დინამიკური დაფინანსების მოდელი

დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმები – დინამიკური დაფინანსების მოდელი								
მექანიზმები (მობილიზება)	1. სახელმწიფო / საჯარო წყაროები	2. სტუდენტის / მოსწავლის მიერ გადახდილი საფასური	3. დამსაქმებლის დაფინანსების წყაროები პროფესიული განათლების პროგრამებში პირდაპირი გადახდების ან დამსაქმებლის მიერ მართულ მომზადების ფონდში განხორციელებული შენატანების მეშვეობით	4. ფილანტროპია	5. საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკური საქმიანობა	6. საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა მიწოდების პროცესში	7. გრანტები ან სესხის დაფინანსება საერთაშორისო მრავალმხრივ/ ორმხრივი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციისა და სხვა შესაძლო ორგანიზაციების მიერ	
დაფინანსების მიზანი	1. ახალი საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო კვალიფიკაციის დანერგვა (დაშვება საბაზო ზოგადი განათლების შემთხვევაში) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 საფეხურზე 2. ახალი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო კვალიფიკაციის დანერგვა (დაშვება საბაზო ან სრული ზოგადი განათლების შემთხვევაში, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული უნდა იყოს სრული ზოგადი განათლების ძირითადი კურიკულუმი იმ სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც ჩაირიცხებიან საბაზო ზოგადი განათლების დასრულების საფუძველზე). აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 საფეხურს 3. ახალი უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა (დაშვება სრული ზოგადი განათლების ან საშუალო პროფესიული განათლების საფუძველზე) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 საფეხურზე 4. მე-5 საფეხურზე ახალი ასოცირებული ხარისხის დანერგვა, რომლის მინიჭება ხდება უმაღლესი განათლების მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ან მსგავსი პროგრამის დასრულების შემდეგ. ჩვეულებრივ, აღნიშნულ პროგრამებზე დაიშვებიან სტუდენტები, რომელთაც დასრულებული აქვთ საშუალო განათლება და მე-4 საფეურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები. ასოცირებული ხარისხის პროგრამებზე ჩარიცხულთა ჯგუფები შეიძლება მოიცავდეს სტუდენტთა ჯგუფებს, რომლებიც იყენებენ სწავლის მეორე შანსს, როგორც წესი 25 წლის ქვემოთ და უფროსი ასაკის სტუდენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. 5. 2-5 საფეხურებზე დანერგილია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ახალი კვალიფიკაციები.							
დაფინანსების ტიპები (განაწილება)	1.ვაუჩერული დაფინანსება	2. მიზნობრივი დაფინანსება	3. საგანმანათლებლო დაწესებულებების საბიუჯეტო დაფინანსება	4. საქმიანობის შედეგების დაფინანსება	5. თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული დაფინანსება (გენდერული თანასწორობა და სოციალური ინკლუზია)			
მართვა	ცენტრალური შუალედური პროვაიდერები	ცენტრალური შუალედური პროვაიდერები	პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების ცენტრალური საჯარო პროვაიდერები	პროფესიული განათლებისა და მომზადების პროგრამების ცენტრალური საჯარო პროვაიდერები	ცენტრალური შუალედური პროვაიდერები			

პასუხისმგებლობაზე უარის თქმა

"წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია მხოლოდ საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტისთვის (DFID),საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის მიზნებისთვის და მასთან შეთანხმებული პირობებით 2015 წლის 28 სექტემბრის ხელშეკრულების შესაბამისად. აღნიშნულ დოკუმენტთან მიმართებით ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობას (მათ შორის დაუდევრობის გამო) ნებისმიერი სხვა პირის წინაშე."